# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკვლისიბაგე ესაძაგლესია.

ორშაბათი, 7 მარტი. 2022 წ. №34 (9372) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


# „ძმებო, შეჩერდით, ღალატია“!..



ერთი მხრიდან, „პუტინს ცას გადავუკეტავთო“ რომ მესმის და მეორე მხარეს, სამუდამოდ ცა და მგზე დაბნელებულ ათეულობით უკრაინელ ბავშვს რომ ვხედავ, მწარე საუბრის ხასიათზე ვდგები. როცა ფაქტები სახეზეა, მიმიფურთხებია არგუმენტებისთვის

## ვოლოდიმირ ზელენსკი:

ყოველდღე ვიმეორებთ, დახურეთ ცა უკრაინის თავზე. დახურეთ ყველა რუსული რაკეტისთვის, რუსული ავიაციისთვის, ყველა ამ ტერორისტისთვის.

შექმენით ჰუმანიტარული საჰაერო ზონა რაკეტების გარეშე, საჰაერო ბომბების გარეშე.

ჩვენ ხალხი ვართ და ხალხის დაცვა თქვენი ჰუმანიტარული მოვალეობაა, ეს თქვენ შეგიძლიათ. თუ ამას არ გააკეთებთ, თუ არ მოგვცემთ თვითმფრინავებს, რომ დავიცვათ თავი, მაშინ ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება — თქვენც გსურთ, რომ ძალიან ნელა მოგვკლან. ეს არის როგორც მსოფლიო პოლიტიკოსების, ასევე დასავლელი ლიდერების პასუხისმგებლობა. ამიერიდან და სამუდამოდ!

## ტონი რადაკინი, ადმირალი:

ძალიან მკაფიოდ განვმარტეთ, რომ უკანონო იქნება თუ დიდი ბრიტანეთის სამხედროები და მოსახლეობა უკრაინაში დაიწყებენ გამგზავრებას. მხარი დაუჭირეთ უკრაინას ბრიტანეთიდან, ყველაფრით, რითიც შეგიძლიათ. საუბარია აზრიან მხარდაჭერაზე, რომელიც შეგიძლიათ ბრიტანეთიდან გაუწიოთ.

უკრაინის ცის არასაფრენ ზონად გამოცხადება უკრაინას ტაქტიკურად ვერ დაეხმარა და საბრძოლო მოქმედებების ესკალაციას გამოიწვევს. ადმირალმა აღნიშნა, რომ დასავლეთი „სწორად იქცევა“.

## უკრაინაში არა სამხედრო ოპერაცია, არამედ ომია



რომის პაპის განცხადებით, უკრაინის კონფლიქტი არის არა სამხედრო ოპერაცია, არამედ ომი.

„ბიბისის“ ინფორმაციით, კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელმა უარყო რუსეთის პოზიცია, რომ უკრაინაში „დემილიტარიზაციის“ მიზნით სპეციალური სამხედრო ოპერაცია მიმდინარეობს.

პაპ ფრანცისკეს თქმით, უკრაინა „წამებული ქვეყანაა“, სადაც „ცრემლის და სისხლის მდინარეები მოედინება“.

# ხელი კუბოდან!..

## რა წესები არსებობს ბირთვული იარაღის ასამოქმედებლად?

## ალექსანდრ კონანიხინი: მილიონი დოლარი იმას, ვინც პუტინს დაიჭერს!

5

# ომზე კი არა, მშვიდობაზე ვიზრუნოთ!

7

ია საკანდელიძე

კარგად გავიაზროთ, რომ ქრისტიანობა არ არის მხოლოდ სჯული ქართველებისთვის. აქ ჩაიბარეს კვართი უფლისა და მეტი პასუხისმგებლობა გვმართებს სამშობლოს მიმართ! თუ გვინდა, რომ ეს ქვეყანა, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ „გვეყუდნოდეს“, ხალხმაც და ხელისუფლებამაც ჯერ ერთმანეთის მტრობას თავი დავანებოთ და მერე საკუთარი თავი მივაკუთვნოთ ამ ქვეყანას.

## რუსები ცდილობენ, საქართველოში რაც შეიძლება მეტი უძრავი ქონება იყიდონ

9

# უკრაინა – რუსეთის წინააღმდეგ... დავა საერთაშორისო სასამართლოში

**უკრაინული და რუსული მხარეები ჰააგაში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან. დღეს გაეროს საერთაშორისო სასამართლოში, მოსკოვის სამხედრო ოპერაციების შეჩერების შესახებ, უკრაინის მოთხოვნასთან დაკავშირებით მოსმენა გაიმართება.**

სასამართლო მოსმენის წინ, მოსკოვის ინტერესების დამცველი იურიდიული ჯგუფის მთავარი ადვოკატი გადადგა. რუსეთის ინტერესების დამცველმა მთავარმა ადვოკატმა, ეროვნებით ფრანგმა ალენ პელეტიმ, გადადგომის შესახებ, მიმდინარე კვირაში, ღია წერილი გამოაქვეყნა.

**„საკმარისია“!** – წერს პალეტი და ამბობს, რომ საერთაშორისო ფორუმებში რუსეთის დაცვა შეუძლებელი გახდა. პალეტი რუსეთის ინტერესებს სხვა საერთაშორისო საქმეებშიც იცავდა. მათ შორის, რუსეთის წინააღმდეგ, უკრაინის მიერ წამოწყებულ საქმეზე, რომელიც 2014 წელს, ყირიმის ანექსიას ეხება.

უკრაინის მიერ გაეროს სასამართლოში შეტანილი ახალი საქმე, გენოციდის პრევენციის შესახებ 1948 წლის ხელშეკრულების ინტერპრეტაციას ეხება, რომლის ხელმომწერი ორივე ქვეყანაა, როგორც უკრაინა, ასევე რუსეთი.

თავად ხელშეკრულებაში სასამართლო დასახელებულია, როგორც მასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის ფორუმი. უკრაინის სარჩელი ამტკიცებს, რომ რუსეთმა ხელშეკრულების ინტერპრეტირება, რამდენიმე მიმართულებით, არასწორად მოახდინა.

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სატელევიზიო მიმართვაში განაცხადა, რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრა – რასაც ის „სპეციალურ სამხედრო მოქმედებას“ უწოდებს – გამართლებული იყო იმით, რომ „დაიცვან ადამიანები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ ჩაგვრას და გენოციდის... ბოლო რვა წლის განმავლობაში“.**

კიევის სარჩელი ამტკიცებს, რომ არ არსებობს არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში გენოციდი მოხდა, ან მოხდება. უკრაინამ სასამართლოს სთხოვა დაედგინა, რომ „რუსეთს არ აქვს კანონიერი საფუძველი განახორციელოს ზომები უკრაინაში და მის წინააღმდეგ, ნებისმიერი სავარაუდო გენოციდის პრევენციისა და დასჯის მიზნით“.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო (ICJ), სახელმწიფოთა შორის ამ ტიპის დავების გადასაჭრელად უმაღლესი სასამართლოა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც წესი, სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტას ჩვეულებრივ წლები სჭირდება, მას ასევე აქვს დაჩქარებული პროცედურები, „დროებითი ზომების“ მიღების შესახებ მოთხოვნის განხილვისთვის. უკრაინა სწორედ ამას ითხოვს. სასამართლოს შეუძლია დააწესოს დროებითი ზომები, რათა თავიდან აიცილოს ვითარების გაუარესება. ქვეყნები ჩვეულებრივ, მაგრამ არა ყოველთვის, იცავენ სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რომელთა აღსრულებაც ხელმომწერი სახელმწიფოებისთვის სავალდებულოა. რუსეთის წინააღმდეგ, უკრაინის სარჩელზე სასამართლო მოსმენა დღეს, უკრაინული მხარის მიერ საქმის წარდგენით დაიწყება. ხვალ კი რუსეთის მოსმენა იგეგმება.



## მადლობელი ვარ ყველა იმ ქალაქის მერის, ვინც გვეხმარება! მათ შორის, თბილისის მერის

ხარკოვის მერმა **იგორ ტერეხოვმა** უკრაინული ტელეკომპანია "UKPAIHA 24"-ის ეთერში ხარკოვში არსებულ ვითარებაზე ისაუბრა და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც არსებულ რთულ ვითარებაში ხარკოვს ეხმარება.

**„მედიკამენტები, საკვები პროდუქტები, თბილი ტანსაცმელი – ვინც დღეს ამას გვაწვდის, მადლობელი ვარ აბსოლუტურად ყველა ქალაქის მერის. მე მქონდა სატელეფონო საუბარი კახა კალაძესთან, რომელიც არის თბილისის მერი და ის ასევე მონაწილეობს ამ პროცესში“,** – აღნიშნა იგორ ტერეხოვმა.

## მზად ვარ, უკრაინიდან მივიღო 30 ბავშვი, თუ საჭირო იქნება, მათი მშობლებიც

მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი მელქისედეკი აცხადებს, რომ მზად არის, უკრაინიდან 30 ბავშვი, საჭიროების შემთხვევაში მშობლებთან ერთად, მიიღოს.

**„ქრისტესმიერი საყვარელო ძმანო და დანო, კიდევ ერთხელ მინდა გამოვეხმაურო უკრაინაში არსებულ მოვლენებს. რუსულმა აგრესიამ უკრაინაში ბევრ არასრულწლოვანს დააკარგვინა მშობელი, ბევრისა კი ახლაც ფრონტის ხაზზეა და იარაღით იცავს საკუთარ სამშობლოს, საკუთარ შვილებს, თავისუფლებას. ღვთის მადლით, ეპარქიაში მაქვს საბავშვო ბაღებისთვის საჭირო ყველა შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მზად ვარ უკრაინიდან მივიღო 30 ბავშვი (თუ საჭირო იქნება მშობლებიც) ვუზრუნველყო ისინი საცხოვრებლითა და ყველა სხვა აუცილებელი პირობებით და დავიტოვო ჩემთან მანამ, სანამ უკრაინაში ვითარება არ დასტაბილურდება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოში სპეციალური ორგანიზაციები არსებობენ, რომლებიც ამგვარ საკითხებს კურირებენ. გთხოვთ მიაწვდინოთ მათ ჩემი ხმა, რათა რაც შეიძლება სწრაფად მოხერხდეს ამ ბავშვების ომის ქარცეცხლიდან გამორიდება და საქართველოში ჩამოყვანა, ჩვენ კი მოგვეცეს საშუალება ჩვენი ადამიანური, მწყემსმთავრული და ქრისტიანული მოვალეობების აღსრულებისა“,** – წერს ეპისკოპოსი სოციალურ ქსელში.

## „აწარმოე საქართველო“ უკრაინას ეხმარება

**მთავრობის გადაწყვეტილებითა და სააგენტოს – „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზებით დაწყებული ფართომასშტაბიანი კამპანიის – „აწარმოე უკრაინისთვის“ ფარგლებში უკრაინელი ხალხის დასახმარებლად პირველი ჰუმანიტარული დახმარების ტვირთი გაიგზავნა.**

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, ქართული კომპანიების მხარდაჭერითა და თანადგომით შეგროვდა 40 ტონამდე სხვადასხვა საჭიროების პროდუქცია, მათ შორის საკვები და სასმელი პროდუქტები, პირველადი მოხმარებისა და სამედიცინო დახმარების პროდუქცია, რომელიც უკრაინელ ხალხს გადაეცემა.

## ვლადიმერ პუტინი: სპეცოპერაციის შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კიევი შეწყვეტს ბრძოლას

დონბასის დასაცავად სპეცოპერაციის შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კიევი შეწყვეტს ბრძოლას და შეასრულებს რუსეთის მოთხოვნებს, ამის შესახებ ვლადიმერ პუტინმა თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანთან საუბრისას განაცხადა. ინფორმაციას კრემლის პრესსამსახური ავრცელებს.

**„დადასტურდა რუსული მხარის მზადყოფნა უკრაინის ხელისუფლებასთან და უცხოელ პარტნიორებთან კონფლიქტის მოგვარების მიზნით დიალოგისთვის“,** – ნათქვამია განცხადებაში. პუტინმა ყურადღება კიევის მხრიდან მოლაპარაკებების გაჭიანურების მცდელობაზე გაამახვილა და იმედი გამოთქვა, რომ ახალ შეხვედრაზე უკრაინელი მომლაპარაკებლები „გამოავლენენ უფრო კონსტრუქციულ მიდგომას, რომელიც სრულად ითვალისწინებს ახალ რეალობას“.

**„ამავდროულად, რუსეთის შეიარაღებული ძალები ყველაფერს აკეთებენ სიცოცხლის გადასარჩენად და მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ზუსტი დარტყმები განხორციელდება მხოლოდ სამხედრო ინფრასტრუქტურაზე“,** – განაცხადა პუტინმა.

## ნაფტალი ბენეტი: ისრაელს აქვს მორალური ვალდებულება, იყოს შუამავალი კიევსა და მოსკოვს შორის...

ისრაელის მთავრობის ხელმძღვანელის, ნაფტალი ბენეტის თქმით, მოსკოვსა და გერმანიაში გაემგზავრა ქვეყნების ლიდერებთან სასაუბროდ, რათა დაეხმაროს ყველა მხარეს შორის დიალოგს.

**„როგორც ყველამ ვიცით, ადგილზე მდგომარეობა არ არის კარგი. ადამიანთა ტანჯვა დიდია და შეიძლება, კიდევ უფრო დიდი იყოს, თუკი საქმე ასე გაგრძელდება. ჩვენ გავაგრძელებთ დახმარებას მოთხოვნის შესაბამისად. ვიდრე სანთელი იწვის, ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ“,** – აღნიშნა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა.

ნაფტალი ბენეტის განმარტებით, უკრაინაში ომის გამო ისრაელი იმიგრაციის „მნიშვნელოვანი ტალღისთვის“ ემზადება, რაც ქვეყნის „გამოწვევაა.“ ისრაელის მედია წერს, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი უკრაინის პრეზიდენტს, ვოლოდიმირ ზელენსკის კიდევ ერთხელ ესაუბრა. ბოლო 24 საათში მხარეებს შორის მესამე საუბარი გაიმართა.

## ემიგრანტები უკრაინაში ბრუნდებიან

**„რუს დამპყრობლებთან ბრძოლაში, უკრაინელების სახალხო ომის დევიზი გახდა „არავინ ჩვენ გარდა!“. უკრაინელ ხალხს ესმის, რომ ჩვენ გარდა არავინ დაიცავს სამშობლოს და ეს გვმატებს მოტივაციასა და გამბედაობას. უკან დასახევი არსად გვაქვს, რადგან საკუთარ მიწაზე ვართ!“,** – აღნიშნულია უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ Facebook-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში. უწყების ცნობით, საომარი დღეების განმავლობაში, უკრაინაში 100 ათასზე მეტი ადამიანი დაბრუნდა.

**„ჩვენს მიწაზე რუსეთის აგრესიული თავდასხმის შემდეგ, ბევრი უკრაინელი გახდა იძულებული, ქვეყანა დაეტოვებინა და ეპოვა მშვიდი ადგილი საკუთარი შვილებისა და მშობლების უსაფრთხოებისთვის, თუმცა, საზღვარზე უკრაინელები ორი მიმართულებით მოძრაობენ – როცა მათ ნაწილს ბავშვები და მოხუცი ახლობლები გაჰყავს საზღვარგარეთ, საზღვარგარეთ მყოფი მრავალი ქალი და კაცი ბრუნდება უკრაინაში, ბრუნდებიან, რათა შეუერთდნენ სახალხო წინააღმდეგობას, როგორც ჯარისკაცები ან მოხალისეები. 25 თებერვლიდან 5 მარტამდე, 100 ათასზე მეტი ადამიანი დაბრუნდა. მათი უმეტესობა წვევამდელი ასაკის ბიჭია. ისინი ნებაყოფლობით ბრუნდებიან და ნათლად ესმით მათი მოვალეობა დაიცვან ყველაზე მნიშვნელოვანი: საკუთარი ოჯახი, სახლი და სახელმწიფო“,** – აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

**ვიცი, ჩემი რედაქტორი უკრაინის ომზე და NATO-უკრაინის ურთიერთობებზე ვრცელ და არგუმენტებით დატვირთულ ანალიზს ელის, თავისი სიღრმეებში წვდომებითა და მინიმუმამდე დაყვანილი კითხვის ნიშნებითა და სამწერტილებით... ვწუხვარ, იმედები უნდა გავუცრუო, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არანაირი სიღრმეები არ არსებობს, ყველაფერი ზედაპირზე ტივტივებს და დახოცილი ადამიანების ლეშის სუნი უდის.**

# „ძმებო, შეჩერდით, ღალატია“!..

მეტად საფრთხილო თემას — **„საზარბაზნე ხორცი“,** ომის დაწყების წინა დღეებში, ხუთიდან თოთხმეტ თებერვლამდე პერიოდში, სამი წერილი მივუძღვენი. ნამდვილად არ მიხარია, რომ ჩემი „წინასწარმეტყველება“ ახდა.

NATO და უკრაინა, უკრაინა და NATO... ზელენსკი და ბაიდენი, ზელენსკი და ევროკავშირის 27 ქვეყნის ლიდერი...

**ცნობილი დიალოგი მახსენდება ცნობილი ვოდევილიდან: ქალი — „შეგიძლიათ ჩემთვის მსხვერპლი გაიღოთ?!.“ კაცი — „მერე მე არაფერი მომივა?..“**

— ეს ისე... იუმორი „ჭირსა შიგან გასამაგრებლად“...

ისტორია მეორდება... ჩემი კარგი მეზობლის, ბატონი გოგის ნათქვამი მახსენდება, 2008 წლის აგვისტოში, მწარედ რომ ჩაიბეჭდა მეხსიერებამ: **დარწმუნებული ვარ, პუტინმა და ბუშმა პეკინში სიტყვა-სიტყვით ერთი შინაარსის პატაკი მიიღეს თავისი ქვეყნების სპეცსამსახურების შეფებისგან - „ოპერაციის პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა. ვაგრძელებთ მუშაობასო...“**

ეჰ, NATO, NATO...

როგორ გინდა ამ პატიოსან კაცს (ჩემს რედაქტორს) უთხრა, რომ **„მეტი უკრაინა NATO-ში და მეტი NATO უკრაინაში“ ისეთივე „გზამკვლევი“ იყო, ჩვენი ქვეყანა 2008 წლის აგვისტომდე რომ მიიყვანა.** ისეთი ვითარებაა, სხვის (NATO-ს მესვეურების) მაგივრად რომ გრცხვენია. რა,.. ვერ გათვალა? მაშინ რაღა NATO ხარ? თუ გათვალა და მაინც აქეზებდა და აიმედებდა?.. აი, ამაშია სწორედ საქმე. როცა ისტორია თოთხმეტწლიან პერიოდში სამჯერ მეორდება (ყირიმის მოვლენებიც ამ რიგიდანაა), სხვა ლოგიკა და სხვა კანონზომიერება უნდა ვეძებოთ.

**ორი სიტყვით, ამას ჰქვია თამაში გავლენის სფეროების ახალი გადანაწილებისთვის, სადაც საქართველო და უკრაინა მაუდის მწვანე მაგიდაზე ჩამოსული ორი ექვსიანია, ბანქოს სქელი „კალოდიდან“.**

ტელეეკრანს მიჯაჭვული, **ერთი მხრიდან, „პუტინს ცას გადავუკეტავთო“ რომ მესმის და მეორე მხარეს, სამუდამოდ ცა და მზე დაბნელებულ ათეულობით უკრაინელ ბავშვს რომ ვხედავ, მწარე საუბრის ხასიათზე ვდგები. როცა ფაქტები სახეზეა, მიმიფურთხებია არგუმენტებისთვის.** ერთი სურვილი მამოძრავებს — ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე, ყველაფერს დავარქვა თავისი სახელი. მეტი თვალსაჩინოებისთვის, ნაცად ხერხს მივმართავ და ლიტერატურიდან, კინოდან და ზეპირსიტყვიერებიდან მაგალითებისა და პარალელების მოშველიებით, შავი იუმორით ვუპასუხებ „მსოფლიო პოლიტიკის მიმდინარე გამოწვევებს“:

1) მარად აქტუალური კითხვაა — **არქიფო სეთურის „ბრიგადები“ მთაში ალმა რომ თხრიან გვირაბს და გამოღმა, ღრმა ჭაში მოკალათებული ქონდრისკაცის ზარის შემოკვრაზე რომ არიან მიყურადებული, რა, არ იციან, რომ სანუკვარ მიზანს ვერასდროს მიაღწევენო?** მეგობრებო, დამიჯერეთ, ასე იოლად არ არის საქმე. რა თქმა უნდა, **ვინმე „გულუბრყვილო“ იტყვის — იციან, მაგრამ სხვა არჩევანი არა აქვთო.** მოდით, ამ ურწმუნოებს თავი დავანებოთ, **ოპტიმიზმი მოვიმარჯვოთ და სხვა რაკურსით შევხედოთ მომავალს. ასეთ შემთხვევაში, ადვილად დავრწმუნდებით, რომ აუცილებლად მიაღწევენ... მეორე მხრიდან, დედამიწას წრეს რომ შემოუვლიან...** ხომ ხედავთ, კაცი თუ მოინდომებს, რაციონალურ გადაწყვეტას ყველაზე უიმედო ვითარებაშიც იპოვის. საკამათოც არაა, რომ ყოველი მეტრის გავლის შემდეგ, მიწის მთხრელები უფრო მეტად იქნებიან ზებოში და უფრო მეტი ზებო იქნება მათში.

2) **„ბაკულას ღორები“ ხომ მთლიანად, პირველიდან ბოლო სიტყვამდე, დღევანდელობის ამსახაველი დრამაა.** წაიკითხეთ კიდევ ერთხელ და სცადეთ, კლდიაშვილისეულ ბრწყინვალე სახეებსა და ხასიათებს თანამედროვე პოლიტიკოსების სახეები და ხასიათები მოარგოთ. მენდეთ, დიდ სიამოვნებას მიიღებთ.

3) ერთმა უკრაინაში „მოღვაწე“ ქართველმა ნაც-ზონდერ-პროვოკატორმა გაავრცელა მიმართვა — **„ცისფერთვალება ევროპელებო, თქვენი იმედი გვაქვსო“.** მიმართვის მიზანი, რასაკვირველია, ტრადიციული, პუტინისთვის „სატოპკეზე“ აწევა იყო, რომელიც, თავის მხრივ, წლებია ამტკიცებს, რომ უკრაინას ფაშისტი ნაციონალისტები მართავენო, მაგრამ ეს იქით იყოს... უთანასწორო ბრძოლაში ჩართულ უკრაინის ხელისუფლების თხოვნა-მოთხოვნებთან დაკავშირებით **ამერიკა-ევროპის კოლექტიურ პასუხებზე, უნებლიედ, საველი კრამაროვის გმირის დამწუხრებულ-თვითირონიულ-გაკვირვებული სახე წარმომიდგება ხოლმე — „პამაგუ... პამაგუ... ჩერეზ პიატ ლეტ... გენატსვალე...“**

4) ძნელია, ეჭვი შეგეპაროს NATO-სკენ უკრაინის სწრაფვის გულწრფელობაში, მაგრამ...

სკოლის ბიოლოგიაში ყველაზე უიმედო ოროსანსაც ნასწავლი აქვს ეს გაკვეთილი, ასე ვთქვათ, თავისი „სპეციფიკური“ შინაარსიდან გამომდინარე. ამონარიდი სახელმძღვანელოდან: **„ახალი სიცოცხლის ჩასახვა უნიკალური პროცესია, რომელიც სპერმატოზოიდის საშუალებით კვერცხუჯრედის განაყოფიერებით იწყება. მილიონობით სპერმატოზოიდიდან კვერცხუჯრედამდე მხოლოდ ათეული აღწევს და მათგან მხოლოდ ერთი სპერმატოზოიდი ანაყოფიერებს მას.“**

ეს „მეცნიერული წიაღსვლა“ იმისთვის დამჭირდა, რომ როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ისევ იუმორით მხილების, ანუ მწარე (სიმართლე მწარეა) იუმორის გამოყენებით, ვცადო, ვუწამლო შეურაცხყოფილი საზოგადოების სულის ტკივილს:

ერთი ძველი ანეკდოტია, 70-იანი წლების — **სპერმატოზოიდები თავქუდმოგლეჯილი გარბიან, რადგან იციან, რომ მხოლოდ კვერცხუჯრედთან პირველმისულს აქვს გამარჯვების და აქედან გამომდინარე, გადარჩენის შანსი. ნახევარი გზაც არა აქვთ გავლილი, რომ დაწინაურებული სპერმატოზოიდი მოულოდნელად, ელდანაცემივით გაჩერდება, შეტრიალდება გახვითქული კონკურენტებისკენ და სასოწარკვეთილი ხმით დაიძახებს — „ძმებო, შეჩერდით,.. ღალატია... ტრაკში ვართ“.** (ბოდიში სკაბრეზისთვის. სწორი ნაწლავი რომ დამეწერა, ანეკდოტი „ავთენტიკურობას“ დაკარგავდა).

* * *

მაგალითები და პარალელები ბევრია, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც საკმარისია, სათქმელი უკვე ითქვა და გამგები გაიგებს, თუ რა თქმა უნდა, ამის სურვილი ექნება.

ვიფიქრე, წერილს ბოლოში დამწუხრებულ-გაბრაზებული სმაილი მოუხდებოდა, მაგრამ ასეთი ინტერნეტის დიდ კოლექციაში, უბრალოდ, ვერ ვიპოვე.

**ბიძინა დვალი.**

02.03.2022 წ.

**P.S.** **მიუხედავად ჩემი დღევანდელი განწყობისა, მაინც ოპტიმისტად ვრჩები. უსამართლობა მუდმივად ვერ იბოგინებს. განვითარების ლოგიკიდან გამომდინარე, პუტინის ეპოქის დასრულებასთან ერთად (მანამდე საეჭვოა), რუსეთში დაიწყება რღვევის ახალი პროცესი, როგორც ეს იყო 80-90-იან წლებში. აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სტაგნაციის პერიოდიც ხომ უნდა დასრულდეს როდესმე? როგორც მრავლისმნახველმა და ათეულობით წლების სტაჟის მქონე პოლიტიკის ანალიტიკოსმა, თითქმის დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ ორი გარემოების თანხვედრა იქნება ახალი ეპოქის ათვლის წერტილი. მთავარია, მანამდე გასავლელ ბეწვის ხიდზე ჭკუით, ცივი გონებითა და ნაკლები ემოციებით ვიაროთ.**

# ხელი კუბოდან!..

## რა წესები არსებობს ბირთვული იარაღის ასამოქმედებლად?

**რა რეგლამენტი არსებობს ბირთვული იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით? მართლაც შეუძლია თუ არა ვლადიმირ პუტინს თითის ერთი დაჭერით მსოფლიო ააფეთქოს? რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 27 თებერვლის ბრძანებით, რუსეთის ბირთვული იარაღი საგანგებო რეჟიმშია მოყვანილი.**

**რადიო თავისუფლების რუსეთის ბიურო სამხედრო ექსპერტ ალექსანდრ ალესინს ესაუბრა.**

**— ბატონო ალექსანდრ, ეს ისტორიები წითელ ღილაკზე, ჩემოდანზე, ჩემოდნის გასაღებებზე... შეიძლება ასე ერთი ხელის მოსმით დაიწყოს ბირთვული ომი თუ არის რამე რეგლამენტი, რაღაც პროცესი, რომელიც უნდა გაიაროს, რომ ვიღაცამ ამ ღილაკს დააჭიროს?**

— ყველაფერი რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინაშია გაწერილი, თუ როგორ უნდა მოიყვანო მოქმედებაში ბირთვული იარაღი. რუსეთი დღემდე არ ითვალისწინებს პრევენციულ ბირთვულ დარტყმას. ყველა დოკუმენტში, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან გვაქვს, დარტყმა არის საპასუხო ან საპასუხო-შემხვედრი.

რა შემთხვევაში გამოიყენება ის? არსებობს სარაკეტო თავდასხმის შეტყობინების სისტემა, ის ორი ეშელონისგან შედგება: სატელიტური და სახმელეთო. სატელიტური ეშელონი ადასტურებს ბალისტიკური რაკეტების სტარტს აშშ-დან ან წყალქვეშა ნავებიდან. ამის შემდეგ საჭიროა რადიოლოკატორებმაც გადაამოწმონ, რომ რაკეტა ნამდვილად გამოფრინდა, რადგან შეიძლება შეცდომაც მოხდეს. იყო შემთხვევა, როდესაც თანამგზავრმა მზის სხივის ანარეკლი რაკეტად აღიქვა და დედამიწა ბირთვული ომის ზღვარზე აღმოჩნდა. ამიტომაც არსებობს რაკეტის გამოფრენის დამადასტურებელი სახმელეთო სისტემაც. მას შემდეგ, რაც ორივე ეს სისტემა დაადასტურებს, რომ რაკეტა ნამდვილად გამოფრინდა, შესაბამისი შეტყობინება მიდის ქვეყნის მთავარსარდალთან.

**— ანუ პრეზიდენტთან?**

— დიახ, პრეზიდენტთან. მთავარსარდალს აქვს ტერმინალი (სისტემა „კაზბეკ“), ასეთივე ტერმინალები გააჩნიათ თავდაცვის მინისტრს და გენშტაბის ხელმძღვანელს. იარაღი მზადყოფნაში შეიძლება მოიყვანო მხოლოდ მას შემდეგ, თუ ეს სამი პირი შეთანხმდება და თავთავის სამ ღილაკს ხელს ერთდროულად დააჭერს.

იხ. 5 გვ.

# გაუმარჯოს სიკვდილშიაც არდანებებას!

**უკრაინაში რუსეთის მიერ წამოწყებული ომი მეორე კვირაა, გრძელდება. მილიონზე მეტმა ადამიანმა ქვეყანა დატოვა. ათასობით უკრაინელი ჯარისკაცი, მოხალისე და ზრდასრული ბრძოლისუნარიანი მამაკაცი ქვეყანაში რჩება და რუსული ჯარის იერიშების მოგერიებას ცდილობს. საჰაერო თუ სახმელეთო თავდასხმების სამიზნეა მშვიდობიანი მოსახლეობაც. დაბომბილია არაერთი ქალაქი, ბევრი ახლაც რუსულ ალყაში და ჰუმანიტარული კატასტროფის ზღვარზეა. მოქალაქეთა ნაწილს უკვე რამდენიმე დღეა, არ მიეწოდება ელექტროენერგია, გაზი, გათბობა, სასმელი წყალი. ზოგან გაწყვეტილია სატელეფონო კავშირიც. გამართულად ვერ ფუნქციონირებს სამედიცინო დაწესებულებები. მოლაპარაკებების მეორე რაუნდისას მხარეები შეთანხმდნენ, რომ ჰუმანიტარული დერეფნების შესაქმნელად იმუშავებენ. თუმცა პარასკევს გამთენიისას, მსოფლიო კიდევ ერთმა სიახლემ შეძრა: რუსული თავდასხმის სამიზნე ზაპოროჟიეს რეგიონში ატომური ელექტროსადგური გახდა. ატომური დაბინძურება ამჯერად არ მომხდარა. ვოლოდიმირ ზელენსკი ევროპელ ლიდერებს „გამოფხიზლებისკენ“ მოუწოდებს. შეერთებული შტატების არმიის ყოფილი მთავარსარდალი ევროპაში, გენერალი ბენ ჰოჯესი ამბობს, რომ ქვეყანას ახლა ყველაზე მეტად საჰაერო საიერიშო მოწყობილობები სჭირდება, სამოქალაქო მოსახლეობაზე რუსეთის მხრიდან იერიშის მიტანა კი აქამდე მიუღწეველი მიზნების და იმედგაცრუების ნიშანია.**

## ბენ ჰოჯესი:

# კიევი არ დაეცემა!

**— რა არის რუსეთის უკრაინაზე თავდასხმის სამხედრო ამოცანები?**

— მე მართლა ვფიქრობდი, რომ ეს იყო უკრაინული ეკონომიკის დანგრევა, რაც შემდეგ უკრაინის მთავრობის დამხობას გამოიწვევდა და შემდეგ ამას მოჰყვებოდა კვლავ თავდასხმა, რაც რუსეთის ფედერაციას უკრაინის უდიდეს ნაწილზე კონტროლს მოაპოვებინებდა. ვფიქრობ, კრემლს ეგონა, რომ ამას ზედმეტი პრობლემების გარეშე გააკეთებდა, იმის გათვალისწინებით, რამდენად სწრაფად ჩაიგდეს ხელში ყირიმი. ვფიქრობ, ეს ასევე იყო უფრო ფართო ძალისხმევის ნაწილი, მათ შორის ბელარუსისაც. ჩვენ იქ სულ ცოტა ხნის წინ საკონსტიტუციო რეფერენდუმი ვიხილეთ. ასე რომ, ძალიან მალე, ბელარუსი იქნება „მოკავშირე სახელმწიფოს“ ნაწილი, რამდენიმე დღეში და არა კვირებში, ეს ყველაფერი იყო უფრო დიდი გეგმის ნაწილი, რომ აღედგინათ ძველი იმპერია იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი იყო.

**— რას ნიშნავს ის, რომ რუსული ძალები სამოქალაქო ობიექტებს ბომბავს? სხვადასხვა წყარო ადასტურებს, სარაკეტო თავდასხმას ხარკოვზე, ასევე ისეთ ადგილებზე, რომელთა სიახლოვესაც სამხედრო ობიექტები საერთოდ არ არის.**

— ცვლილება, რომელსაც ჩვენ ახლა ვხედავთ — სამოქალაქო ინფრასტრუქტურის მიზანში ამოღება, ქალაქებისა და პატარა დასახლებების და არა სამხედრო სამიზნეების დაბომბვა — ეს არის, რა თქმა, უნდა სასოწარკვეთისა და იმედგაცრუების ნიშანი. ეს სუიციდური ქმედებაა. ეს ამთავრებს იმ ზღაპრებს კრემლიდან, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ნაცისტების მიერ მართული ხელისუფლებისგან რუსულად მოსაუბრე მოქალაქეების დასაცავად ხდებოდა.

საინტერესოა ის, რომ 2014 წელსაც მათ (რუსებს) ეგონათ, რომ კოლაფსი მოხდებოდა დონეცკსა და ყირიმშიც, მოქალაქეები იქნებოდნენ სიმპატიით განწყობილი სწორედ იმიტომ, რომ იქ რუსულად მოსაუბრე მოსახლეობაა. მაგრამ 2014 წელსაც კი, არ მომხდარა ისეთი წინააღმდეგობა, (მათ საკეთილდღეოდ) როგორც კრემლს ეგონა. ასე რომ, ეს იქნება ძალიან ხმამაღალი და ნათელი სიგნალი რუსულად მოსაუბრე მოქალაქეებისთვისაც: კრემლი არაა იქ თქვენს დასაცავად. ისინი იქ არიან იმისთვის, რომ მიიღონ თქვენი მორჩილება.

**— ვლადიმირ პუტინი ბირთვული იარაღის გამოყენებით იმუქრება და საკუთარი ბირთვული შესაძლებლობები მზად აქვს. როგორ უნდა პასუხობდეს ამას დასავლეთი?**

— ჩვენ ამ საფრთხეს ძალიან სერიოზულად ვეკიდებით, მაგრამ პრეზიდენტ პუტინს ეს მუქარა აქამდეც ბევრჯერ გამოუყენებია. მისი წარმომადგენლები ემუქრებოდნენ დანიას, პოლონეთს, შვედეთს. რა თქმა უნდა, რუსები ბირთვული ომის სცენარს ყველა თავის სერიოზულ სამხედრო წვრთნაშიც იყენებენ. ისინი ამას აკეთებენ არა მხოლოდ კომპეტენტურობის შესანარჩუნებლად, არამედ იმაში დასარწმუნებლად, რომ ყველა ევროპელმა პოლიტიკოსმა იცის, რომ მათ რეალურად შეუძლიათ ბირთვული იარაღის გამოყენება. საფრთხე რეალურია, მაგრამ რეალურია იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიცით სინამდვილეში რას ფიქრობს და აკეთებს ვლადიმირ პუტინი. მისმა გარემოცვამ უნდა უთხრას მას, რომ თუკი ჩვენ ბირთვულ იარაღს გამოვიყენებთ, ეს კატასტროფა იქნება რუსეთისთვის. ვფიქრობ, ახლა ჩვენ მტკიცენი უნდა ვიყოთ. ჩვენ გვჭირდება სიმტკიცის ჩვენება, ახლა არის დრო სწორი, ძლიერი მტკიცე და ნათელი გზავნილებისა. მაგრამ თუკი რუსეთი გამოიყენებს ბირთვულ იარაღს და ჩვენ — არა, მაშინ ისინი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ ბირთვული შეკავების სრულ მნიშვნელობას.

თუკი შენ გაქვს იარაღი და ვიღაც, მსგავს იარაღს შენს წინააღმდეგ იყენებს, შენ კი არ პასუხობ, ეს მიანიშნებს, რომ სადღაც მომავალში, ვისაუბრებთ ირანსა და ჩრდილოეთ კორეაზე, ან ჩინეთზე... ეს ძალიან რთული არჩევანი იქნება. თუმცა ვერ ვიწინასწარმეტყველებ, როგორ წარიმართება პროცესები?

**— რისი გაკეთება შეუძლია დასავლეთს უკრაინის სამხედრო კუთხით მეტად დასახმარებლად?**

— უნდა იყოს რაღაც ისეთი, რაც ბერლინის საჰაერო დახმარების მსგავსი იქნება. იქნება ეს თვითმფრინავები თუ სხვა კოლონა. მაგრამ ლოჯისტიკა მნიშვნელოვანია. უკრაინელები ძალიან დიდ ტექნიკას იგდებენ ხელში რუსული ძალებისგანაც, რომელთა თავად გამოყენებაც შეუძლიათ, ეს კარგია, მაგრამ ჩვენც უნდა დავეხმაროთ იმით, რითიც შეგვიძლია. უკრაინა ამბობს, რომ ყველაზე მეტად ანტისატანკო შეიარაღება, რაკეტები სჭირდებათ, საჰაერო თავდაცვის სისტემები, ჯარისკაცების აღჭურვილობა, სამედიცინო კომპლექტები, ეს ყველაფერი იმისთვის, რომ განაგრძონ ბრძოლა.

ასევე ვფიქრობ, საკმაოდ კარგად ვეხმარებით უკრაინის მთავრობას, დაზვერვის ინფორმაციის გაზიარებით. ვფიქრობ, ეს პროცესი ძალიან გამართულად მიდის. ვისურვებდი, მოგვეხერხებინა მათთვის მეტი დრონის მიწოდება. კიევის ჩრდილოეთით ქალაქისკენ მიმავალი კოლონა ვფიქრობ დიდი სამიზნე იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, უკრაინის გენერალური შტაბი სწორ გადაწყვეტილებებს იღებს.

ახლა მათ პრიორიტეტიზაცია სჭირდებათ რას დაარტყან. არ მენდომებოდა ახლა რუსული სატვირთოს მძღოლობა, ძალიან ბევრი უკრაინელი ჯარისკაცია, რომელიც ამ კოლონას სხვადასხვა მხრიდან შეუტევს იარაღით, რომელიც მას გაანადგურებს.

**— შესაძლებელია რუსეთის სამხედრო კუთხით დამარცხება ამ ომში თუ ეკონომიკა მაინც გავლენის მოხდენის მთავარ გზად რჩება?**

— მე არ მინდა საბოლოო შედეგების შესახებ პროგნოზის გაკეთება, რადგან ბევრი ვარიანტი არსებობს, მაგრამ ცხადია იქნება რაღაც ტიპის მოლაპარაკება და შეთანხმება. მაგრამ, 100%-ით ვარ დარწმუნებული და შემიძლია გითხრათ, რომ კიევი არ დაეცემა, რუსები ვერასდროს გააკონტროლებენ კიევს. არ მგონია წარმატებას მიაღწიონ ოდესაში. შეხედეთ ხარკოვსაც. ისინი ვერ გააფართოვებენ თავიანთ კონტროლს მეტად. მე ფრთხილი ოპტიმიზმი მაქვს ახლა. დიახ, ათასობით მსხვერპლია, სამხედროც და რაც ყველაზე საშინელია სამოქალაქო, ამ ქალაქებისა და ინფრასტრუქტურის განადგურება, მზარდი ლტოლვილთა კრიზისი — ტრაგედიაა, რაც სრულებით ვლადიმირ პუტინის ბრალია, მაგრამ, იმედიანად ვარ განწყობილი, რადგან ჩვენი მხარე ძლიერდება. მე ვგრძნობ გარდატეხის მომენტს, ცვლილებებს.

მე მაინც შემიძლია განვასხვავო ერთმანეთისგან რუსი ლიდერები და რუსი ხალხი, შემიძლია განვასხვავო საწყალი რუსი ჯარისკაცი რუსი ლიდერებისგან. ეს საშინელებაა. ათასობით ახალგაზრდა ბიჭი მოსაკლავადაა განწირული. ახალგაზრდა რუს მამაკაცებს, ახალწვეულებს, რომელთაგან ბევრმა არც იცოდა, რომ უკრაინაში მიდიოდნენ, მოკლავენ. მათი ოჯახები კი 100 დოლარს მიიღებენ კომპენსაციის სახით. ეს საშინელი შედეგებია რუსი ხალხისა და რუსი ჯარისკაცებისთვის. არაფერი კარგით ეს რუსეთისთვის არ დასრულდება. ეს ტრაგიკულია.

**— რამ შეუშალა ხელი ნატოს, რომ უკრაინაში თავდასხმის თავიდან ასაცილებლად ჯარები გაეგზავნა? კოსოვოს შემთხვევაში ნატომ გამოიყენა საკუთარი ძალები მიუხედავად იმისა, რომ არც კოსოვო იყო ნატოს წევრი, უკრაინის მსგავსად.**

— ეს კარგი შეკითხვაა და ალბათ ამაზე მსჯელობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ვფიქრობ, აუცილებლად უნდა ვთქვათ ისიც, რომ ალიანსისა და ევროკავშირის ერთობის შენარჩუნება, მასობრივი წნეხის განხორციელება კრემლზე გრძელვადიან პერსპექტივაში არის უფრო მნიშვნელოვანი და არ ვიცი თუ გვექნებოდა საკმარისი ნება და კონსენსუსი იმაზე, რომ ამერიკული ჯარი ყოფილიყო უკრაინაში. გაიხსენეთ, რამდენიმე კვირის წინ ბევრი ევროპული ქვეყანა იმ პოზიციაზეც არ იყო, რაზეც ახლა არიან. ვფიქრობ, ადმინისტრაცია აღიარებს, რომ მნიშვნელოვანი იყო დიპლომატიური ნაწილის სწორად გაკეთება და ყველაფრის დალაგება. ეს ბევრად იმაზე მეტია, ვიდრე — მხოლოდ უკრაინა. ამას უფრო დიდი შედეგები ექნება. ასე რომ, საერთაშორისო კონსენსუსი იმაზე, რას უნდა ვაკეთებდეთ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ვფიქრობ, ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაცია და რამდენიმე ევროპელი ლიდერი იმსახურებს დაფასებას იმისთვის, რაც იყო საუკეთესო დიპლომატიური ძალისხმევა, რაც 1995 წლიდან მინახავს.

## კულება ნატოს შეახსენებს...

**ნატოს უკრაინის თავზე არასაფრენი ზონის გამოცხადებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა ქვეყნის პირველმა დიპლომატმა დმიტრო კულებამ.**

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალიანსის ფრთხილი პოზიციის გამო იმედგაცრუება გამოთქვა და კიდევ ერთხელ შეახსენა ნატოს წევრ ქვეყნებს, რომ არასაფრენი ზონის გამოუცხადებლობის გამო უკრაინაში უდანაშაულო ადამიანები იღუპებიან.

## გაფილტრეთ ინფორმაცია!!!

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი მორიგ განცხადებას ავრცელებს და მოსახლეობას მიმართავს.

**„სოციალურ ქსელებში მტერმა გააააქტიურა ბოტების დიდი ქსელი, რომელიც უკრაინელ ხალხში პანიკისა და სასოწარკვეთის დათესვას ცდილობს. ვრცელდება უამრავი ისეთი შეტყობინება, როგორებიცაა: „უკვე ყველაფერი დაკარგულია“, „დაეხმარეთ კიევს“, (ან ხერსონსა და ჩერნიგოვს, „ჩვენ ყველამ მიგვატოვა“ და ა.შ.**

**კერძოდ, ახლადშექმნილი „პატრიოტული“ გვერდებზე ვრცელდება შეტყობინებები, უკრაინული სიმბოლოებით, უკრაინულ და რუსულ ენებზე. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ — გაფილტრეთ ინფორმაცია, ენდეთ მხოლოდ გადამოწმებულ წყაროებს! აღმოაჩინეთ და დაბლოკეთ ბოტები! ერთად გავიმარჯვოთ!“,** — აღნიშნულია განცხადებაში.

## ალექსანდრ კონანიხინი:

# მილიონი დოლარი იმას, ვინც პუტინს დაიჭერს!

**„ეს იქნებოდა ჩემს ცხოვრებაში საუკეთესოდ დახარჯული მილიონი“ – ალექს კონანიხინი, რუსი, რომელმაც პუტინის „თავზე“ ჯილდო დააწესა!..**

**მან ერთი მილიონი აშშ დოლარი დააწესა ჯილდოდ მისთვის, ვინც მოახერხებს და დააკავებს ვლადიმირ პუტინს. ბოლო დღეებში რუსეთის პრეზიდენტის პოლიტიკას სიტყვიერად განდგომილი რამდენიმე ოლიგარქისგან, ქვეყნიდან წლების წინ გაქცეული რუსი ბიზნესმენი იმით განსხვავდება, რომ პუტინს ლეგიტიმურ პრეზიდენტად არ ცნობს. ამბობს, რომ ის ომის დამნაშავეა.**

90-იან წლებში კონანიხინი გარკვეულ წრეებში, რუსეთის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად ითვლებოდა. ბორის ელცინს აშშ-ში პირველი ვიზიტის დროსაც კი ახლდა. მაშინ, 25 წლის ასაკში უკვე 300 მილიონი დოლარის ოდენობის ქონებას ფლობდა. შემდეგ დაუპირისპირდა ჯერ კგბ-სთან დაკავშირებულ ჯგუფს, ბოლოს – თვით კრემლს. ის 8 მილიონი დოლარის გაფლანგვაში დაადანაშაულეს და გაასამართლეს. კონანიხინი რუსეთიდან შეერთებულ შტატებში გაიქცა, პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო და დღემდე კალიფორნიაში ცხოვრობს და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწეობს. მოსკოვი წლების განმავლობაში ძალისხმევას არ იშურებდა მისი დეპორტაციისთვის. მერე მიივიწყეს.

რამდენიმე დღის წინ კონანიხინმა სოციალურ ქსელში პლაკატი გამოაქვეყნა, რომელზეც ეწერა: „იძებნება: მკვდარი ან ცოცხალი. ვლადიმერ პუტინი. მასობრივი მკვლელობისთვის.“ პოსტერს თან ერთვოდა შემდეგი ტექსტი:

> **„ბპირდებით, რომ ოფიცერს ან ოფიცრებს, რომლებიც მათი კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლებში, რუსული და საერთაშორისო კანონმდებლობის დაცვით, დააკავებენ ვლადიმერ პუტინს, როგორც ომის დამნაშავეს, მიიღებენ 1 000 000 აშშ დოლარს.**
>
> **...ვლადიმირ პუტინს არ აძვს უფლება, იყოს ძვეყნის პრეზიდენტი, როდესაც ხელისუფლებაში საცხოვრებელი კორპუსების აფეთქების ოპერაციის შემდეგ მოვიდა, მოგვიანებით კი გააყალბა არჩევნები და დახოცა ოპონენტები.**
>
> **...როგორც რუსი და რუსეთის მოქალაქე, მე ამას განვიხილავ ჩემს მორალურ მოვალეობად, რომ მონაწილეობა მივიღო რუსეთის „დენაციფიკაციაში“.**

მას შემდეგ რაც ფეისბუქმა ეს პოსტი წაუშალა, კონანიხინმა LinkedIn-ზე გადაინაცვლა, „რადიო თავისუფლებასთან“ ინტერვიუში კი ამტკიცებს, რომ ჯილდო კვლავ ძალაშია და მას ყოველდღე წერს ათასობით ადამიანი, რომელიც კითხულობს, თუ „როგორ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ და შემოწირულება დაამატონ მის ერთ მილიონს“.

**„რადიო თავისუფლება“: ეს განცხადება სერიოზულია? ბევრი ამბობს, რომ თვითპიარს ისახავთ მიზნად და უბრალოდ ყურადღების მიქცევას ცდილობთ.**

**ალექს კონანიხინი:** აბსოლუტურად სერიოზულად ვაცხადებ – მე ბევრი რამის უფლება შემიძლია მივცე ჩემს თავს, საკმარისი ქონება მაქვს ამისთვის. და ნამდვილად არ დამენანება ეს ფული იმისთვის, ვინც პუტინს დააპატიმრებს და ამით ბირთვულ დაპირისპირებასა და გლობალურ ომს აგვაცილებს თავიდან.

რაც შეეხება ყურადღების მიქცევას, ასეთი „ყურადღება“ ბიზნესისთვის საზიანოა. ბიზნესს უყვარს სტაბილურობა, პროგნოზირებადობა, და როდესაც ვინმე ამგვარ განცხადებას აკეთებს, ეს შემაშფოთებელია კლიენტებისა და ინვესტორებისთვის. ასე რომ, მე ამას საკუთარი ბიზნესის ინტერესების საწინააღმდეგოდ ვაკეთებ... „კაგებეს“ ბოლო 30 წელია ვაკრიტიკებ – შესაბამისად, იყო მომენტი, როდესაც რუსეთის მთავარი ძებნილი ვიყავი, ინტერპოლი წითელი ცირკულარით მეძებდა. ასეთი ტიპის „ყურადღება“ მხოლოდ მენტალურად ავადმყოფ ადამიანებს შეიძლება უნდოდეთ, მე კი მათ რიცხვს არ ვეკუთვნი.

ასე რომ, დიახ, აბსოლუტურად სერიოზულად ვაცხადებ ამას. ეს იქნებოდა ჩემს ცხოვრებაში საუკეთესოდ დახარჯული მილიონი. დარწმუნებული ვარ, რომ პუტინი უკრაინაში უკან არ დაიხევს. დეესკალაცია მისთვის დამარცხებას უდრის. რადგან ის არჩეული ლიდერი არაა, მთელი მისი ლეგიტიმაცია ემყარება აღქმას, რომელსაც წლებია თავადვე რუდუნებით აკოწიწებს: ყოვლისშემძლე ლიდერი, იმდენად ძლიერი, რომ მის წინაშე ქედს იხრიან აშშ, ნატო, ევროკავშირი... მაგრამ თუ უკრაინასთან დამარცხდება, საკუთარი კვარცხლბეკიდან ძირს დაენარცხება, ეს დამამცირებელი იქნება მისთვის, და ხალხი დიადი ბელადის ნაცვლად „ლუზერად“ ჩათვლის. ეს კი ნიშნავს, რომ მის ძალაუფლებას საფრთხე შეექმნება, რაც გარდაუვალად მიგვიყვანს მის დაპატიმრებასა და შეიძლება სიკვდილთანაც. ასე რომ მისი ერთადერთი არჩევანი ესკალაციაა, ის დეესკალაციას არც განიხილავს.

**– ფიქრობთ, რომ გაბედავს და უკრაინაში ბირთვულ იარაღს გამოიყენებს?**

**–** აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ამას იზამს, თუ ჩათვლის, რომ საქმეს ასე სჭირდება. ერთი წამითაც არ დაფიქრდება, რადგან ეს მისთვის მარტივი არჩევანია საკუთარ უსაფრთხოება-გადარჩენასა და სხვა ადამიანების სიცოცხლეს შორის. მან შესაძლოა ასეთი გათვლა გააკეთოს – მოკლემანძილიანი ტაქტიკური ბირთვული დარტყმები უკრაინაში – ეს უკრაინასაც გაანადგურებს, და პარალელურად ნატო და აშშ-ც შეშინდებიან და ვერ გარისკავენ გლობალური ომი გაუჩაღონ, რომლის შედეგადაც მილიონები მოკვდებიან. შეიძლება მისი გათვლა არასწორია, მაგრამ ეს სამყაროს მაინც უამრავი სიცოცხლის ფასად დაუჯდება. ამიტომ ერთადერთი გამოსავალი ამ ვითარებიდან მისი მოშორებაა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩემს მიერ გამოცხადებული ჯილდო ფინანსურადაც ჭკვიანური ინვესტიციაა, რადგან ესკალაციის შემთხვევაში მილიონზე ბევრად მეტს დავკარგავ. ასეთ ჯილდოებს როგორც წესი მთავრობები აწესებენ, ომის დამნაშავეებისა და საერთაშორისო ტერორისტების წინააღმდეგ – პუტინი ორივეა, მაგრამ მას ასევე ბირთვული იარაღი აქვს. შესაბამისად აშშ-ს მთავრობა ვერ იზამს ამას, რადგან ეს ომის გამოცხადების ტოლფასი იქნებოდა.

ვიცი, რომ პუტინს ოპონენტების ლიკვიდაცია წესად აქვს. ახლა, რა თქმა უნდა, მილიონობით მოწინააღმდეგე ჰყავს – მილიონობით ადამიანს სძულს მთელი არსებით. თანაც ახლა ჩემზე ბევრად დიდი პრობლემები აქვს, ასე რომ ვეჭვობ, რომ მის მრავალტომიანი „მოსაკლავი ხალხი“-ს სიის პირველ ტომშიც კი ვერ მოვხვდები. მაგრამ რისკი, რა თქმა უნდა, არის. მაგრამ არ ვაპირებ, ამის გამო შევშინდე, პირში წყალი ჩავიგუბო და ამ ომს ჩემი დუმილით შევუწყო ხელი. არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ ერთ-ერთი ვარ იმ რუსებიდან, ვინც ან ღიად უჭერს ამ ომს მხარს, ან დუმილით თანამონაწილეობს.

**– რუს ოლიგარქებსა და დასავლეთში მათ ქონებაზე დაწესებულ სანქციებს როგორ შეაფასებდით – რამდენად დიდი ბერკეტია ეს?**

**–** ძალიან ძლიერი ბერკეტია – როგორც იქნა, გვაქვს სანქციები, რომელთაც რეალურად შეუძლიათ გავლენის მოხდენა. აქამდე არსებული სანქციები რუსებს სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ, მათ უფრო მეტი ზიანი მოჰქონდათ ვიდრე სარგებელი, რადგან ყველა ხედავდა, რომ დასავლეთის მუქარა უკბილო იყო. ახლა კი სანქციებმა „დაარტყა“ ადამიანებს, რომლებიც უზარმაზარ როლს თამაშობენ რუსეთში – ოლიგარქები შოკში არიან, გამწარებულები ცდილობენ საკუთარი ქონება ან იაფად მიყიდონ, ან სადმე გადამალონ, ეძებენ თავშესაფარს მსოფლიოში, რომელიც უფრო და უფრო ერთიანდება პუტინის წინააღმდეგ. ალბათ ნახეთ, რომ რომან აბრამოვიჩი „ჩელსის“ ყიდის და თანხას უკრაინას შესწირავს. ეს სხვა არაფერია, თუ არა თავის გადარჩენის მცდელობა – აბრამოვიჩის ქონება დასავლეთში საფრთხის წინაშეა და მას სურს დემონსტრაციულად გაემიჯნოს პუტინს. ამ უპრეცედენტო დონაციით ის ცდილობს გვაჩვენოს, რომ კრემლის პოლიტიკას არ ეთანხმება. ალბათ შეასრულებს კიდეც თავის სიტყვას. და ეს ერთეული შემთხვევა არაა - ოლიგარქები ერთი მეორის მიყოლებით ცდილობენ პუტინს გაემიჯნონ – ისინი მას მხარს უჭერდნენ, სანამ ეს ბიზნესს აწყობდა, მაგრამ ახლა ის მთელ ამ ბიზნესს დაღუპვას უქადის. ეს კი განგაშის სიგნალია რუსეთის მთავრობისთვის, რადგან „ფულიანი ხალხი“ რუსეთში მუდამ მთავარი ხალხია. იმის ფონზე, რომ შუა ფენა, ოლიგარქები და მთავრობის წარმომადგენლებიც კი სულ უფრო და უფრო ნაკლებ ენთუზიაზმს იჩენენ, არ სურთ, პუტინთან იყვნენ დაკავშირებულები, შეიძლება უეცრად და მოულოდნელად გავხდეთ ხელისუფლების შეცვლის მომსწრენი.

# რა ხვესები აჩსებობს ბირთვული იარაღის ასამოქმედებლად?

**(მესამე გვერდიდან)**

ანუ იმ შემთხვევაში თუ რომელიმეს ამ სამიდან პარანოია ან სხვა სახის ფსიქიკური დაავადება აქვს, ან კიდევ სხვა რამეა... არაფერი გამოვა. სამივე უნდა შეთანხმდეს.

მაგრამ საბჭოთა კავშირში, როდესაც სსრკ ფიქრობდა, რომ არ არის ისეთი ძლიერი, როგორიც ამერიკა, შეიქმნა სისტემა „პერიმეტრი“, დასავლეთში ეწოდება „მკვდარი ხელი“ ან „ხელი კუბოდან“. თუკი რაღაც მიზეზების გამო უმაღლეს ხელისუფლებას წყობიდან გამოიყვანენ, კომპიუტერების საგანგებო სისტემა ქვეყნის მეთაურების პასუხს მოითხოვს. თუ პასუხს ვერ მიიღებს, სენსორები, რომლებიც ადასტურებენ რადიაციას, დარტყმის ტალღას და რადიოელექტრონულ იმპულსებს, ამ სისტემას აიძულებენ, მზადყოფნაში მოიყვანოს სპეციალური სასიგნალო რაკეტები, რომლებიც მაღალი სიმაღლიდან აიღებენ სტარტს და იქიდან გადასცემენ სიგნალს რუსეთის ბირთვული ტრიადის ცოცხლად დარჩენილ ყველა ელემენტს. ანუ იმ შემთხვევაშიც კი თუ ქვეყნის ხელმძღვანელი სამი პირი – პრეზიდენტი, გენშტაბის უფროსი და თავდაცვის მინისტრი – დაიღუპა, სისტემა საპასუხოდ მაინც გაისვრის.

90-იანი წლების დასაწყისში საუბრობდნენ, რომ ეს სისტემა გამორთეს. მაგრამ ამას წინათ რუსეთის სტრატეგიული-სარაკეტო ძალების მეთაურმა, გენერალმა კარაკაევმა განაცხადა, რომ ის არის მოდერნიზებული და საბრძოლო მზადყოფნაში!..

**– ძირითადი მომენტები მინდა დავაზუსტო, ანუ რუსეთის სამხედრო დოქტრინაში არ არსებობს კანონი (თუმცა, ვის აინტერესებს ეს, როდესაც უკანონო გადაწყვეტილებებს იღებენ), რომელიც რუსეთს ნებას მისცემს გამოიყენოს ბირთვული იარაღი თავდასხმისთვის, ან პრევენციის სახით გაისროლოს?**

– თუ დადასტურდა, რომ აშშ-დან რაკეტა გამოფრინდა, იქნება საპასუხო დარტყმა რუსეთის ტერიტორიიდან. ეს რაკეტები შესაძლოა ერთამანეთს შეხვდნენ ჰაერში, განაგრძონ ფრენა და საბოლოოდ დანიშნულების ადგილას ჩამოცვივდნენ. ეს იქნება ორმხრივი განადგურება. იგივე ვითარებაა ამერიკაშიც, მაგრამ აშშ ითვალისწინებს პრევენციულ დარტყმასაც. რუსეთის სამხედრო ელიტაში საუბრობენ, რომ ეს რუსეთის სამხედრო დოქტრინაშიც ასახონ.

**– თუმცა ჯერ არაა?**

– იქ გაჩნდა ერთი საინტერესო რამ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოწინააღმდეგე სრულიად ჩვეულებრივი საშუალებებით ეჭვქვეშ დააყენებს რუსეთის სახელმწიფოს არსებობას, რუსეთს შეუძლია ბირთვული იარაღი გამოიყენოს.

**– თუ ამ სამმა ადამიანმა ერთდროულად დააჭირა ხელი თავის ღილაკს, ეს უკვე შეუქცევადი პროცესი იქნება? ვეღარ გავაჩერებთ?**

– არის ამის საშუალება, იყო ყოველ შემთხვევაში – ე.წ. „კრიზისული კავშირი“. იმის გთვალისწინებით, რომ ბალისტიკური რაკეტები კონტინენტების გადაღმა 30-40 წუთის განმავლობაში მიფრინავენ, არის საშუალება დაუკავშირდე და გააუვნებელყო. არსებობდა ამის საშუალება. მაგრამ ძალიან საშიშია საშუალო და მოკლე მანძილზე მოქმედი რაკეტები. პუტინი ამ წითელი ხაზებისთვის რატომ იბრძვის? მას ეშინია, რომ ასეთი რაკეტები უკრაინასა და პოლონეთში გამოჩნდება და მაშინ რაკეტა მიზნამდე მიაღწევს არა 30-40 წუთში, არამედ 5-7 წუთში. მოლაპარაკების საშუალება აღარ იქნება. როგორც კი რაკეტებს დაადასტურებენ, ეგრევე ღილაკებს უნდა დააჭირონ, თორემ ვეღარ მოასწრებ. აი, ამიტომაცაა საშიში საშუალო და მოკლე მანძილზე მოქმედი რაკეტები. ადრე ისინი აკრძალული იყო, მაგრამ ახლა აშშ ამ შეთანხმებიდან გამოვიდა.

# მსოფლიო ფეხზე დგას, მაგრამ!..

**მხოლოდ თორმეტი დღეა, რაც რუსულ-უკრაინული ომი მიმდინარეობს, მაგრამ უკვე ისეთი გავლენა იქონია კაცობრიობაზე, როგორიც არც ერთ ომს არ ჰქონია ისტორიაში ასეთი მცირე დროის განმავლობაში. რა თქმა უნდა, საუბარია პოლიტიკურ გავლენაზე. თითქმის მთელი მსოფლიოა ამხედრებული რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის მიმართ მოწყობილი აგრესიის გამო, სულ რამდენიმე ქვეყნის გარდა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ყველა ქვეყანას თავისი საკუთარი დამოკიდებულება აქვს აგრესორისადმი და თავისი ინდივიდუალური განწყობა ამ უაზრო ომის მიმართ.**

ქვეყნების უმრავლესობა მთლიანად განუდგა რუსეთს და მზადაა მის დასასჯელად ათასგვარი ხერხით, მათ შორის მძლავრი ეკონომიკური სანქციებით, რაც, მათი ვარაუდით, საბოლოოდ გაანადგურებს რუსულ ეკონომიკას და საფრთხეს შეუქმნის რუს ხალხს ყოფას. ასეთი მოქმედების სიღრმისეული არსი, ალბათ, იმაში მდგომარეობს, რომ რუსმა ხალხმა, ქვეყნის იზოლაციის შედეგად წარმოქმნილი გაუსაძლისი მდგომარეობის გამო, თავისივე ხელით ჩამოაშორა უკვე მორყეულ ხელისუფლებას მსოფლიოს მიერ შეძულებული და ზურგშექცეული თავიანთი პრეზიდენტი. ეს, ცხადია, სტრატეგიული ვარაუდია. რაც შეეხება დასავლეთის ტაქტიკურ სვლებს, ის მტკიცე და მრავალმხრივია, რუსეთის სახელმწიფოსთვის მომაკვდინებელი და რუსი ხალხისთვის მძიმე წარსულში დამაბრუნებელი.

გაუძლებენ თუ არა ამ ზომის ზეწოლას რუსული სახელწიფო და რუსი ხალხი, ამწუთას მკაფიოდ არ ჩანს, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უფრო ვერა, ვიდრე კი. თავად რუსეთის პრეზიდენტის ტვინში რა ტრიალებს ახლა, ამას მიკროსკოპით აკვირდებიან შესაბამისი სამსახურები მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ვერავინ ამბობს დაზუსტებით თუ სანამდე წავა ის. ასევე, ვერავინ ამბობს გარკვევით, გაწირავს თუ არა ის, სასოწარკვეთის გამო, არა მხოლოდ უკრაინას, არამედ სამყაროს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკამ და ნატომ აწყენინეს სიტყვის ბანზე აგდებით?

ასეა თუ ისე, რუსეთი უკვე დასჯილია, და სასჯელის ოპტიმალურ ფორმად დასავლეთმა აი, ეს სანქციები მიიჩნია: რუსეთის თავდაცვის სექტორისა და სამხედრო ძალების დასუსტება, რუსეთისა და ბელარუსის სამხედრო სექტორთან თანამშრომლობის გაუქმება და მათთვის მაღალტექნოლოგიური პროდუქტების მიწოდების შეზღუდვა, რუსეთის ცენტრალური ბანკის აქტივების გაყინვა, SWIFT-ის სისტემიდან შვიდი რუსული ბანკის გათიშვა, რუსეთისთვის ევროს მიწოდების აკრძალვა, დასავლეთის საფირმო და ინდივიდუალური ინვესტიციების გაუქმება რუსეთის ტერიტორიაზე, რუსეთისთვის ევროს ბანკნოტების მიწოდების აკრძალვა, დასავლეთსა და რუსეთს შორის ექსპორტ-იმპორტის პარალიზება, სამხედრო აგრესიისთვის საჭირო მასალებზე ემბარგოს დადება, პუტინის ომის მანქანის მთლიანად შეჩერება, რუსული საბრძოლო ხომალდების ელექტრონული საბრძოლო სისტემების, რაკეტებისა და საჰაერო ხომალდების მწარმოებლების ურთიერთობის შეჩერება რუსეთთან, რუსეთის განდევნა ევროპისა და მსოფლიო ნედლეულის ბაზრიდან.

წერტილოვანი დარტყმების ნაცვლად, ახლა დასავლეთი ცდილობს, გამოიწვიოს რუსეთის ეკონომიკის სრული დესტაბილიზაცია. ისეთი პირი უჩანს, დასავლეთი ამაზე არ გაჩერდება: სანქციების ჩამონათვალი ყოველდღე იზრდება და მათ სიმკაცრე თანდათან ემატება, ანუ სანქციების ომი სტაბილურად გაგრძელდება. რუსეთს კონტრსანქციების თავისი პერსპექტივა აქვს – ფოლადის, ნავთობისა და გაზის გაყიდვის შეჩერება, მაგრამ ასეთი ზომები თავად რუსეთისთვის არის კატასტროფული ზარალის მომტანი.

ყოველივე ეს რუსეთის გლობალურ პოლიტეკონომიკურ ჩიხში მომწყვდევას ჰგავს, მაგრამ საბოლოო დასკვნების გაკეთება ჯერ ადრეა. ბოლოს და ბოლოს, ყველა ომი მხარეებს შორის მოლაპარაკებით მთავრდება, მაგრამ უკვე მომხდარის შედეგები არ არის ძნელი წარმოსადგენი. ამ ომმა უკვე გააუქმა ცივი ომის შემდეგ დაწყებული ის მცირე მონაპოვარიც კი, რომელიც დასავლეთისა და რუსეთის უღიმღამო, მაგრამ მაინც თანამშრომლობამ შექმნა.

სავარაუდოდ, რუსეთი მთლიან იზოლაციაში მაინც არ მოხვდება. ამხელა ტერიტორიისა და რესურსების მქონე სახელმწიფოს ასე სწრაფად და მარტივად სრულ იზოლაციაში ვერ გამოკეტავ. რუსეთს მხოლოდ დასავლეთისკენ ჩაეკეტება კარ-ფანჯარა. დასავლეთსა და რუსეთს შორის ეკონომიკური ჯაჭვის აღდგენას კი, ათობით წლები დაჭირდება. დასავლეთის უმკაცრესი სანქციებიდან რუსეთის დახსნა მხოლოდ ჩინეთს ძალუძს.

ჩინეთი კი ჯერ დუმს და თავისთვის ჩუმად იღიმება, სეირს უყურებს, ალბათ. დიდი რესურსების მქონე რუსეთის დასუსტება ჩინეთს მხოლოდ დაეხმარება. თუ ახლა ისინი პარიტეტულად თანამშრომლობენ, რუსეთის დასუსტების შემთხვევაში, ჩინეთი რუსეთს მოკარნახედ გადაექცევა. დასავლეთი მიდრეკილია, სანქციების გაძლიერებითა და ენერგორესურსებზე ემბარგოს დაწესებით რუსეთს ბოლომდე მოუღოს ბოლო, რამაც კედელთან მიყენებული რუსეთი შესაძლოა კიდევ უფრო მეტად საშიში და შეუსაბამო გახადოს. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ დასავლეთმა, ამერიკის მეთაურობით, ჩათვალოს, რომ რუსეთი საკმარისად დასაჯა და ახლა მდგომარეობიდან გამოსავალი კარი ოდნავ მაინც შეაღოს.

* * *

**ᲘᲪᲘᲝᲓᲘ, რუსეთის პრეზიდენტი დასავლეთს არ დაუთმობდა და უკრაინის საზღვართან მობილიზებულ მრავალათასიან ცოცხალ ძალასა და სახედრო აღჭურვილობას ამაოდ არ მოაცდენდა, მაგრამ პირდაპირ გეტყვით, არ მეგონა, ასეთი მასშტაბის ომთან და მოვლენებთან თუ გვექნებოდა საქმე.**

საქართველოში რუსული გაკვეთილების შემდეგ, ვფიქრობდი, უკრაინაშიც იგივე სცენარი გათამაშდებოდა: რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებს აღიარებდა, იქ თავის მარიონეტულ მთავრობას დასვამდა, ამით უკრაინას კიდევ ერთხელ ასწავლიდა ჭკუას და დასავლეთსაც თავის ძალას კიდევ ერთხელ დაანახვებდა. არ ვიცი, რა იყო ეს – ჩემი ადამიანური მიამიტობა, თუ პოლიტიკური განსჯის სისუსტე, მაგრამ, ფაქტია, რომ იმედი გამიცრუდა, თან, მაგრად. ყველამ ვიცით, რა ხდება ხოლმე ომის დროს, მაგრამ ამ ომში სრულიად განსხვავებული მიდგომის მოწმენი გავხდით.

უკრაინაში სამხედრო ინტერვენციის დაწყებიდან მეოთხე დღეს რუსეთის პრეზიდენტმა თავისი არმიის შემაკავებელი ძალების განსაკუთრებულ რეჟიმში გადაყვანა ბრძანა. შემაკავებელ ძალებში იგულისხმება სტრატეგიული შეტევითი ძალები, ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობის გათვალისწინებით. ამ სახიფათო და რადიკალური ნაბიჯის მიზეზად პუტინმა რუსეთის მისამართით დასავლეთის ლიდერთა აგრესიული გამონათქვამები დაასახელა. რას წარმოვიდგენდი, ასე სწრაფად და მარტივად თუ შეიძლებოდა ჯერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება და მერე მისი საქვეყნოდ გამოცხადება.

დღემდე ვერ გამიგია, რას ნიშნავდა ეს. ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენებაზე ენის უბრალო დასველებაც კი უდიდესი პასუხისმგებლობაა, რადგან ამის ხმამაღლა თქმა მსოფლიო მასშტაბის ძრწოლვასა და პანიკას იწვევს. უფრო მეტს გეტყვით: ამაზე არ გაჩერებულა რუსეთის პრეზიდენტი. ვინმე თუ ჩამერევა უკრაინასთან ომში, ისე დაზარლდება, რომ ვერც წარმოიდგენსო, ასე თქვა პირდაპირ.

ალბათ, ისევ ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობაზე გააკეთა მინიშნება. მიუხედავად ასეთი მუქარისა და გაფრთხილებისა, ევროპა, და ევროპასთან ერთად თითქმის მთელი მსოფლიო ფეხზე დადგა უკრაინის მხარდასაჭერად. ინგლისელ და გერმანელ სამხედრო მაღალჩინოსებს შორის არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ რუსეთის პრეზიდენტმა მხოლოდ სიტყვიერი შანტაჟის ხრიკს მიმართა, რადგან შემაკავებელი სტრატეგიული ძალები ისედაც ყოველთვის განსაკუთრებულ რეჟიმშია მოყვანილი და ამას არავითარი განსაკუთრებული ბრძანება არ სჭირდება.

როგორ წარმოგიდგენიათ ბირთვული იარაღის მოდუნებული მზადყოფნა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გამოფხიზლება სჭირდება ხოლმე? ცივი ომის დროს ევროპაში დაახლოებით 7300 ერთეული ამერიკული ბირთვული რაკეტა იყო განლაგებული. საბჭოთა კავშირის პოტენციალი ოდნავ სჭარბობდა ამერიკულს. ევრაზიის კონტინენტი ბირთვული რაკეტებით მოფენილ მიწას დაემსგავსა.

ორივე მხარე, ნატოც და ვარშავის პაქტის ქვეყნებიც, საბჭოთა კავშირის მეთაურობით, ხვდებოდა, რომ ასე გაგრძელება ძალიან საშიში იყო. საუკუნის გარღვევა ბირთვული იარაღის შემცირების საკითხში 1987 წელს მოხდა, როცა ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ, სახელდობრ, პრეზიდენტმა რეიგანმა და საბჭოთა ლიდერმა გორბაჩოვმა, ქალაქ ვაშინგტონში, დიდ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომლის თანახმად ორივე მხარემ ბირთვული რაკეტების რიცხვი საგრძნობლად შეამცირა.

ამას 1991 წლის და 2002 წლის ხელშეკრულებები მოჰყვა, რომლებიც სხვადასხვა რადიუსის ბირთვული რაკეტების შემცირებას მოიცავდა. მხოლოდ 90-იან წლებში, ნატოს ძალებმა ევროპის კონტინენტიდან 3000 ბირთვული რაკეტა გაიტანეს და გაანადგურეს. 2000-დან 2010 წლამდე ამერიკამ განაგრძო ევროპაში განლაგებული ბირთვული იარაღის რაოდენობის შემცირება და მათი რამდენიმე სამხედრო ბაზაზე გადანაწილება.

დღეს ევროპაში ბირთვული რაკეტების რიცხვი ცივი ომის დროინდელი რაოდენობის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს. ეს მდგომარეობა დღემდე უცვლელი რჩება. დღესდღეობით, ამერიკასა და რუსეთს, თითოეულს, დაახლოებით 5000 ბირთვული რაკეტა აქვთ. ბირთვული იარაღის დიდი არსენალის არსებობის ერთ-ერთი გამართლება მისი დეტერენტული დანიშნულებაა, ანუ მოწინააღმდეგეებს ერთმანეთთან კონფლიქტის დაწყება გადააფიქრებინოს.

მიზეზი მარტივია: ბირთვული იარაღის გამოყენების შედეგად ნადგურდება ყველა. ასეთი სამხედრო-სტრატეგიული მიდგომა გარანტირებული განადგურების შესაძლებლობას ეყრდნობა. კაცობრიობის ისტორიაში ბირთვული იარაღი მხოლოდ ერთხელ გამოიყენეს. ხიროსიმასა და ნაგასაკის ატომურმა დაბომბვამ ადამიანს დაანახა, თუ რა საშინელი გამანადგურებელი ძალა აქვს ამ იარაღს. ატომური ბომბის პირველი გამოყენებიდან დიდი დრო გავიდა. იმ პირველი შემთხვევიდან დღემდე, მხოლოდ ერთხელ, კარიბის ცნობილი კრიზისის დროს, ნიკიტა ხრუშჩოვი ამერიკას ატომური იარაღის გამოყენებით დაემუქრა, რამაც სრულიად სამყარო შესძრა და შეაძრწუნა.

არსებობს ვერსია, რომ ხრუშჩოვის ასეთმა ქცევამ საბჭოთა კავშირის მაშინდელი პოლიტბიურო აიძულა, შეთქმულება მოეწყოთ მის გადასაყენებლად. ცივი ომის დროიდან ბირთვული იარაღი ტექნიკურად ძალიან დაიხვეწა. დაიხვეწა მისი გამოყენების პროცედურაც. თუ რომელიმე ქვეყანა ბირთვულ რაკეტას გაუშვებს, მეორე მხარე ამას თავის რადარებზე იმწამსვე ხედავს და სწრაფ რეაგირებას ახდენს. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, არც ერთი ქვეყანა არ მოინდომებს ბირთვული იარაღის გამოყენებას საკუთარი განადგურების შიშით.

სწორედ ეს არის ამ საშინელი იარაღის დეტერენტული ანუ შემაკავებელი ფუნქცია. ვლადიმირ პუტინმაც იხუმრა ერთხელ ამ თემაზე: თუ ატომური ომი დაიწყება, მაშინ ჩვენ სამოთხეში მოვხვდებით, ხოლო მეორე მხარე, ჯოჯოხეთში. ახლა მაინტერესებს, ნამდვილად უნდა გვეშინოდეს ატომური ომის თუ არა? როგორც დასავლელი ექსპერტები ამბობენ, მიუხედავად იმისა, რომ ბირთვული კონფლიქტის ალბათობა, თითქოს, ოდნავ გაიზარდა, საშიშროება მაინც დაბალია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველთვის არსებობს შეცდომის რისკი იმ შემთხვევაში, როცა ერთი მხარე არასწორად გაიგებს მეორის მოქმედებას, და შედეგად ვითარება კონტროლიდან გამოდის.

ამიტომ, ატომური შეიარაღების ხანაში აუცილებლად უნდა არსებობდეს დაპირისპირებულ მხარეთა განუწყვეტელი გონივრული და გაწონასწორებული კომუნიკაცია, რათა კაცობრიობამ თავიდან აიცილოს ნაკლებად სავარაუდო, მაგრამ მაინც პოტენციური ბირთვული კატასტროფა. გელაპარაკებით ახლა, და თან გაოგნებული ვარ, ერთი შეხედვით ცივილიზებულ და განვითარებულ სამყაროში, ამ საკითხზე რომ მიწევს საუბარი...

**ნუგზარ ბ. რუხაძე,**
ᲞᲝᲡᲢV

◎ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲗᲔᲛᲐᲨᲘ

## რუსეთის არმიის დანაკარგი უკრაინაში

**უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მონაცემების მიხედვით, რომელიც 24 თებერვლიდან 6 მარტამდე პერიოდს მოიცავს, უკრაინასთან ბრძოლისას უკვე 11 ათასზე მეტი ოკუპანტია მოკლული. მონაცემთა ნაწილი ჯერ კიდევ ზუსტდება.**

**ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲫᲐᲚᲐ – 11 000-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ;**
**ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘ – 44;**
**ᲕᲔᲠᲢᲛᲤᲠᲔᲜᲔᲑᲘ – 48;**
**ᲢᲐᲜᲙᲔᲑᲘ – 285;**
**ᲯᲐᲕᲨᲐᲜᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ – 985;**
**ᲥᲕᲔᲛᲔᲮᲘ – 109;**
**ᲖᲐᲚᲪᲣᲠᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲠᲔᲐᲥᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ - 50;**
**ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ – 21;**
**ᲡᲐᲕᲐᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ – 447;**
**ᲡᲘᲛᲬᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲐᲕᲖᲘ – 60;**
**ᲣᲰᲘᲚᲝᲗᲝ ᲡᲐᲨᲠᲔᲜᲘ ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ OTP – 3.**

# ᲝᲛᲖᲔ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲖᲔ ᲕᲘᲖᲠᲣᲜᲝᲗ!

## ᲥᲕᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲜ ᲘᲡᲠᲝᲚᲝᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲣᲪᲝᲓᲕᲔᲚᲘᲐ

**...ᲓᲘᲐᲰ, ᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲗᲘᲗᲐᲝᲓ ᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲔᲠᲪ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲫᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲕᲐᲰᲔᲠᲮᲔᲑᲗ. ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲕᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲚᲝᲜᲓ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲔᲗ, ᲛᲖᲐᲓ ᲕᲐᲠᲗ ᲫᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ, ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲕᲮᲕᲘᲝᲗ!**

დროა, ისიც შევიგნოთ, რომ რუსეთ-უკრაინის ომი კოვიდფაშიზმის გაგრძელებაა პანდემიისა, რომელმაც სწორედ „დემოკრატიული წესების“ დაცვით 7 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. აბობოქრებული იყო მსოფლიოს პროგრესული ნაწილი. ამიტომ ამ აბობოქრებას 180 გრადუსით მიმართულება შეუცვალეს (აბა, ჯერ რა დროს ნატოს გაფართოებაზე ლაპარაკი იყო, დღემდე ევროკავშირის წევრიც კი არ არის უკრაინა). დიახ, ამ მიზნით გაიმეტეს უკრაინის სახელმწიფო საზარბაზნე ხორცად და რუსეთის მთლად მონსტრად ქცევა განაგრძეს... ამიტომ ზოგი ფაქტის გახსენება-გაანალიზება მოვინდომე. იმედი მაქვს, რომ სიტყვის თავისუფლება მხოლოდ ლიბერალების უფლება არ არის!

**თუმცა, ეს თავისუფლებაც ისე გააუპატიურეს, როგორც საზოგადოებას სჭირდება პატრონი ასეთი თავისუფლებისგან თავის დასაცავად, ისე, თავისუფლებასაც, მთლად რომ არ განუტევოს სული!**

თემას დავუბრუნდები და ვიტყვი, რომ 21-ე საუკუნემდე, ბოლო საუკუნეებში, რუსეთის გარეშე არც ერთი მსოფლიო ომი თუ ბოროტება არ დამარცხებულა, საკუთარ თავსაც კი აჯობეს... თავად დაანგრიეს საბჭოეთი... თუმცა, საბჭოთა კავშირის არსებობის დროს დასავლეთი და რუსეთი ერთმანეთს აკონტროლებდნენ. თუ მოიძიებთ, ყველაზე მაღალი ღირებულების მქონე, ჭეშმარიტად დემოკრატიული კანონები და კონვენციები მე-20 საუკუნეშია მიღებული!

სწორედ საბჭოეთის დაშლის შემდეგ წარმოიშვა და გაძლიერდა მრავალი პრობლემა, იქნება ეს ეკოლოგიის საკითხები, ჰიბრიდული ომები, კოვიდფაშიზმი, ტერორიზმი, ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლა და ასე შემდეგ.

არადა, თუ დღეს დასავლეთში ღმერთს, ქრისტიანობასა და ეროვნულ იდენტობას თავისუფლების სახელით ებრძვიან – ჩვენთან, 90-იან წლებში, თავისუფლებისთვის ბრძოლა სწორედ ღმერთის სახელითა და ეროვნული მოძრაობით დაიწყეს, იმ იმედით, რომ თავისუფალ ქვეყანაში სარწმუნოებაშიც განმტკიცდებოდა ერი და ეროვნული იდენტობაც შენარჩუნებული გვექნებოდა. სამწუხაროდ, ეკლესიაც შეგვიგინეს და ეროვნული ტრადიციებიც! ვერც დამოუკიდებლობით დავიკვეხნით! ოპოზიციური ძალების საშუალებით თავინთ ჭკუაზე ისე გვმართავენ, როგორც მოესურვებათ! ამიტომაა, რეალურად, ბაბილონის გოდოლს დაემსგავსა, როგორც ჩვენი ქვეყანა ისე მთლიანად დედამიწაც!

არადა, ამბობენ, რომ თითოეულ ქვეყანას თავისი როლი და მისია აკისრია ამ სამყაროში. ზოგი ამ დედამიწის „გულია“, ზოგიც – „თავი“ ზოგიც – „ჭიპი“ და ზოგი – მედიატორი „ხელები“. ამ უნარებს კი მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა ავლენს საკუთარ მოცემულობასა და საზღვრებში.. როგორც გამიგია, ქართველებს მედიატორის როლი აქვს დაკისრებული! არც **იოანე ზოსიმე დავივიწყოთ: ყოველი საიდუმლო ქართულ ენაში არის დამარხული და ყოველივე ქართულ ენაზე განიკითხებისო რომ წინასწარმეტყველებდა.**

**უპრიანი იქნება, ძველი სიბრძნე და ლოგიკა მოვიშველიოთ და მივხვდეთ, რომ რუსეთის ბოროტი მონსტრის როლში დატოვება საშიშია! გვახსოვდეს, იგი ბირთვული იარაღის მფლობელია! არც ის დაგვავიწყდეს, ერთ ნავში რომ ვსხედვართ და ახალ დედამიწას ვერ გამოვიგონებთ! დიახ, საკითხი ასე დგას: ან წარღვნასა და აპოკალიფსს შევეგუოთ, ან უნდა გაერთიანდეს მსოფლიოს პროგრესული ნაწილი! კეთილი საქმე კი თავად აკეთილშობილებს მის შემსრულებელს.ამიტომ დროა, ყველას პოზიცია გავითვალისწინოთ!**

**თუ ნატოს გაფართოება უნდა, რუსეთს რატომ ენდომება საკუთარი უსაფრთხოების შემცირება და გავლენის შესუსტება მსოფლიოში? ნატო რა, სამხედრო დაჯგუფება კი არა, საქველმოქმედო ორგანიზაციაა? განა მასაც საკუთარი სამხედრო ინტერესები არ აქვს?** დიახ, ამ ბრძოლის გამწვავებაში კი არა, მშვიდობიან მოლაპარაკებაში უნდა ჩაერთოს მსოფლიოს პროგრესული ნაწილი, რათა ყველა მხარის მიზნები იქნეს გათვალისწინებული. **ხომ უნდა მივხვდეთ, რომ ერთპოლუსიანი მსოფლიო ვერ ვითარდება ცივილურად და სამართლებრივად?! არც ის დაგვავიწყდეს, ყოველდღიურად უკრაინელი ხალხი რომ ეწირება ამ ყველაფერს. ასე რომ, როგორც იტყვიან: „ნაბან წყალს ბავშვს ნუ გადავაყოლებთ“, პირდაპირი თუ ირიბი მნიშვნელობით!**

ვერ ვიტყვით, ოპოზიციის მოთხოვნები პატრიტიზმით ან უვიცობით არის ნაკარნახები. მშვენივრად ხედავენ, რა ხდება იმ უზარმაზარ უკრაინაში, მაგრამ ზურგი აქვთ სწორედ იმ ძალით გამაგრებული, რომელმაც რუსი და უკრინელი ხალხი, ეს ორი მოძმე ერი გადაჰკიდა ერთმანეთს და არც იმის უფლებას უტოვებს ქვეყანას, ცეცხლის შეწყვეტაზე იზრუნოს!!

დღეს ყველამ იცის, რომ სწორედ ამ ძალის მითითებით გაიწვიეს უკრაინის ელჩი ჩვენი ქვეყნიდან. იმ დროს, როცა ჯერ ბელორუსიის ელჩიც კი არ ჰყავდათ გაწვეული (იმ ბელორუსის, რუსებთან ერთად რომ იბრძვის უკრაინაში! სხვებზე აღარაფერს ვამბობ). ქართველები კი ტონობით ჰუმანიტარულ დახმარებას უგზავნიან მეზობელ ქვეყანას. ეს უკვე, ძალიან ცუდი და ნათელი მინიშნებაა იმისა, თუ ვინ ვინ არის!

ან ამაზე მეტი ერთგულება რა უნდა გამოხატოს უკრაინამ დასავლეთის მიმართ? ან ძალას, რომელსაც არ შეუძლია ან არ სურს დაეხმაროს დივერსიის ქვეშ მყოფ ქვეყანას, ღირს კი მისი ღირებულებების თუ ინტერესების გამო მთლიანად დაანგრიო საკუთარი სახელმწიფო? ამიტომ ისმის ძალიან ლოგიკური კითხვები: ღირს კი რუსეთის ამ გადაკიდებად ასეთი პარტნიორისთვის? აქვე, ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ გამახსენდა და მეორე კითხვაც დაიბადა: დგას კი უკრაინის სათავეში მისი ჭეშმარიტი ჭირისუფალი?

**აგვისტოს ომში, არც ჩვენ დაგვხმარებია ვინმე და ასე „შაგრენის ტყავივით“ ხელში შემოგვადნა ქვეყანა!!! ისიც გავიხსენოთ, ეს მოწონებული და მისაბაძი პირველი ზესახელმწიფო, როგორ იბრძოდა და იცავდა თავის ინტერესებს მიზნებს სირიაში, ერაყში, ავღანეთში, ვიეტნამში. ასე რომ, ქვები იმან ისროლოს, ვინც უცოდველია.** ამ ბუნდოვან ბრძოლას ნუ გადააყოლებთ ჯერ უკრაინას და მერე მთელ დედამიწას!

გვახსოვდეს, თუ ჩვენ ქვეყანას ომში ჩაითრევთ, საქართველო ამას ვეღარ გადაიტანს. უფრო მეტიც, ან საბოლოოდ, რუსეთს დავემორჩილებით ან მთლიანად განადგურდება ქვეყანა და სხვა დამპყრობელი მეზობლების ლუკმა გახდება... არც ყარსის ხელშეკრულება დაივიწყოთ!

ამიტომ, ვინც მოვლენების ასეთ ესკალაციას ხელს შეუწყობს, პასუხს აგებს ღვთისა და ერის წინაშე! არ შეიძლება საკუთარმა ინტერესებმა ასე დაგაბრმაოთ! დაფიქრდით, რომელი ქვეყნის ხელისუფლებაში მოსვლას გეგმავთ, რომელსაც უკრაინასავით დანგრევას უპირებთ?

სანამ დროა,შეჩერდით და ერთად დავდგეთ! ქვეყნის თავზე სიცრუის დამოკლეს მახვილს ნუ აღმართავთ! ტყუილსა და მართალს ერთმანეთში ნუ აზელთ. ნუ ლანძღავთ ეკლესიას, სოციალიზმს და სხვათაშორის კაპიტალიზმსაც! ასევე ქვეყნის ყველა ავტორიტეტულ ადამიანს, რომლებსაც შეეძლოთ გადაერჩინა ეს ქვეყანა! დროა, პრიორიტეტებზე შევთანხმდეთ! მივხვდეთ, რომ პლურალიზმი მართალი აზრის ჩამკარგველი აღმოჩნდა, რეალურად!

ერთი გზა გვაქვს, ამ პრობლემებს ერთმანეთის ერთგულებითა და სიმართლით შევებრძოლოთ, თორემ დაგვწყევლის შთამომავლობა!

გვახსოვდეს, **„სიმართლე სინათლეა, სინათლის წყაროს კი ყოველთვის შეუძლია შეაღწიოს სიბნელეში და გააქროს იგი. აი, სიბნელეს, საკუთარი წყარო არ აქვს, იგი სინათლის წყაროს დეფიციტით წარმოიშობა მხოლოდ,ისევე, როგორც ბოროტება არის ადამიანის გულში სიყვარულის, სამართლიანობისა და რწმენის ნაკლებობის შედეგი“.**

**ისიც კარგად გავიაზროთ, რომ ქრისტიანობა არ არის მხოლოდ სჯული ქართველებისთვის. აქ ჩაიბარეს კვართი უფლისა და მეტი პასუხისმგებლობა გვმართებს სამშობლოს მიმართ!**

თუ გვინდა, რომ ეს ქვეყანა, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ „გვეყუდნოდეს“, ხალხმაც და ხელისუფლებამაც ჯერ ერთმანეთის მტრობას თავი დავანებოთ და მერე საკუთარი თავი მივაკუთვნოთ ამ ქვეყანას. ამ გზით, ოპოზიციას დასაყრდენი ძალა ქვეყნის გარეთ აღარ ექნებათ საძიებელი, ქვეყნის შიგნითვე გაიმაგრებენ ზურგს. ამის შედეგად კი ჩვენი მიზნების საწინააღმდეგო დავალებებს ისევ ადვილად ვეღარ დაგვაკისრებენ გარედან! ამ პლურალიზმითა და ვაი დემოკრატიით გვიტევენ და ჩვენც ჭეშმარიტი დემოკრატიით უნდა შევებრძოლოთ...

**დროა, კარგად გავიაზროთ ჩვენი ფუნქციები. სამყაროს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება მშვიდობის მომცველი პოლიტიკა... მხოლოდ სხვათა მიმდევრები კი არა, საკუთარი ქვეყნის გენეტიკური შესაძლებლობიდან უნდა გამოვიდეთ! ისიც გავითვალისწინოთ, რომ „მართებულია მხარი დაუჭირო სამართლიანობას, მაგრამ ასევე შეუძლებელია არ დაემორჩილო ძალას. მაშასადამე, აუცილებელია ძალისა და სამართლიანობის შერწყმა. მაგრამ რაკი ძალა ვერ მიანიჭეს სამართლიანობას, ეტაპობრივად სამართლიანობას უთავსებენ მმართველ ძალას, რათა მისადმი მორჩილებით უზენაესი სიკეთე – მშვიდობა დაამკვიდრონ ძვეყნად“** (პასკალი). სამწუხაროდ, ამ გარემოებას საქართველოს ისტორიაში იშვიათად ითვალისწინებდნენ.

**ამიტომაცაა, დღესაც რომ** რთულად გვაქვს საქმე! მაგრამ უნდა ვეცადოთ, ერთად დავდგეთ და იქნებ შეუძლებელიც არაფერი გახდეს! აბა, ადრე ვინ წარმოიდგენდა, რომ რუსეთის პროლეტარების მიერ შექმნილი სახელმწიფო 24 წელიწადში ზესახელმწიფო გახდებოდა და - ფაშიზმს მოერეოდა? არც ცივი ომის შეწყვეტა, ბერლინის კედლის აღება, საბჭოთა კავშირის დაშლა მიაჩნდათ შესაძლებლად, მაგრამ ხომ მოხდა ეს, თან, ქართველების ხელითაც! დღეს უნდა მივხვდეთ, რომ ომზე კი არა, მშვიდობაზე ვიზრუნოთ!

ძველი ეგვიპტელებისგან თქმულა და პითაგორასაც დაუბარებია: **„რაც უფრო დიდია ადამიანის თვალსაწიერის რადიუსით შემოსაზღვრული წრე, მით უფრო მეტია ამ წრის შეხების ზედაპირი ჯერ კიდევ შეუცნობელ სამყაროსთან და მეტია წინააღმდეგობაც მისგან!“** ამიტომ, თქვენს შესაძლებლობას გარე ძალებთან ძალიანაც ნუ დაეყრდნობით!

**ფრთხილად ქართველებო! მშვიდობის ელჩობა და ამისთვის საჭირო ძალისხმევაა დღეს გამოსაჩენი იმ ძალებთან, რომლებიც აქამდე, „ფოჩიანი კამფეტებით“ გვაკმაყოფილებდნენ!**

ასე რომ, დროა, გამოიკვეთოს მხარეები, ყველას მოგვეკითხება, სად ვიდექით ამ წალეკვის ჟამს!..

**ᲘᲐ ᲡᲐᲙᲐᲜᲓᲔᲚᲘᲫᲔ**

# ყარაბაღის კონფლიქტის გადაჭრას ალიევმა მიაღწია სტრატეგიული თმენით, რუსეთთან ურთიერთობით, მოკავშირეობით თურქეთთან...

**პუტინი ირწმუნება, რომ რუსეთი იმპერიის აღდგენას არ გეგმავს, მაგრამ ფაქტია, კრემლის ლიდერი ნებაყოფლობით თუ ძალის დემონსტრირებით ცდილობს, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს უჩვენოს, „კტო ხაზიან ვ დომე“. როცა ნებაყოფლობით რუსეთთან დაახლოების სურვილზეა საუბარი, სომხეთის გარდა უკვე აზერბაიჯანიც შეიძლება მოვიაზროთ რუსეთის გავლენის ქვეშ, ვინაიდან ალიევი რუსულ ბანაკში აღმოჩნდა.**

უკრაინაში შეჭრამდე ორი დღით ადრე **პუტინმა** და ალიევმა „სამოკავშირეო ურთიერთქმედების“ შესახებ დეკლარაციას მოაწერეს ხელი. დოკუმენტი 40 პუნქტზე მეტს მოიცავს და ორმხრივი ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს სფეროებს ეხება. დეკლარაციისთვის სიმბოლური პერიოდი შეირჩა, რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებიდან 30-ე წელი.

შემთხვევითი არაა, რომ კრემლში სტუმრად მყოფი ალიევის გასაგონად პუტინმა ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება ახსენა, რომლის მშვიდობიანად გადასაჭრელადაც რუსეთი, პუტინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ფრთხილად მოქმედებდა. უკრაინისთვის ამ კრიტიკულ მომენტში ალიევის ჩასვლა მოსკოვში ბევრი რამის მთქმელია. დროის იმ მონაკვეთში, როცა ალიევი მოსკოვს ეწვია, პუტინს უკვე გამოცხადებული ჰქონდა უკანონო გადაწყვეტილება უკრაინის ორი რეგიონის – დონეცკის და ლუგანსკის ავტონომიური ოლქების დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარების შესახებ. ბოლოდროინდელი მოვლენით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ ამიერკავკასიაში რუსეთის სასარგებლოდ წრე ვიწროვდება, სომხეთიც რუსეთთანაა და აზერბაიჯანიც მათი ხდება.

ანალიტიკოსი **ამირან სალუქვაძე** მიიჩნევს, რომ შესაძლოა, პრეზიდენტმა ალიევმა იგრძნო საშიშროება, ან უფრო ადრეც ჰქონდა დაგეგმილი რუსეთთან უფრო მეტი ინტეგრაცია, რადგან ჩვენ ვხედავთ საკმაოდ დამთბარ ურთიერთობებს რუსეთ-აზერბაიჯანს შორის. თუმცა ასეთი პოლიტიკა აირჩია აზერბაიჯანმა, მან დაიბრუნა დაკარგული ტერიტორიების ლომის წილი, იქ დარჩა მხოლოდ მთიანი ყარაბაღის დედაქალაქი, დანარჩენი- შუშა, მთიანი ყარაბაღის დაკავებული რაიონები უკვე აზერბაიჯანის მხარეს არის გადასული. ამ ყველაფერს ალიევმა მიაღწია იმ პოლიტიკით, რასაც ახორციელებდა, სტრატეგიული თმენით, მოკავშირეობით თურქეთთან და რუსეთთან ურთიერთობებით.

**„რუსეთი და აზერბაიჯანი წლების განმავლობაში სტრატეგიული პარტნიორები არიან, ეს ოფიციალურად გაცხადებულია, საკმაოდ სერიოზული სავაჭრო ურთიერთობები აქვთ, განსაკუთრებით, სამხედრო მიმართულებით, მრავალმილიარდიან სამხედრო შესყიდვებს ახორციელებს რუსეთიდან აზერბაიჯანი. რაც ბოლო ხანს გააფორმეს, ეს არის სამოკავშირეო ურთიერთქმედების დეკლარაცია, პლუს ამას, იქ სხვა პაკეტებიც გაფორმდა, ალიევი აგრძელებს იმ პოლიტიკას, რაც ჰქონდა, რომ მშვიდობა შეინარჩუნოს თავის ქვეყანაში და აქვს უზარმაზარი სატრანზიტო პროექტები, მათ შორის, ყარაბაღის გავლით, ასევე, იმ მიმართულებით, რომ დააკავშიროს ერთმანეთთან ნახჭევანი და დანარჩენი ტერიტორია. ალიევი გეგმაზომიერად მიჰყვება ამ გზას და ჯერჯერობით წარმატებითაც“,** – აცხადებს ამირან სალუქვაძე.

ანალიტიკოსის განმარტებით, ვისაც სურს, მას თავისუფლად შეუძლია, გააკრიტიკოს აზერბაიჯანის ლიდერი. თუმცა აშკარაა, ალიევი ერთი წლით არ მოქმედებს, ის მოქმედებს მინიმუმ ათი წლის გათვლით. ისტორია განსჯის და ეს აზერბაიჯანის გადასაწყვეტია, სწორად იქცევა ალიევი, თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ რა ეროვნული მიზნებიც ჰქონდა აზერბაიჯანს ბოლო ათეული წლების განმავლობაში, ტერიტორიების დაბრუნების სახით, ეს განახორციელა კიდეც.

„მწვანეთა პარტიის“ ლიდერის, ყოფილი პარლამენტარის **გია გაჩეჩილაძის** მოსაზრებით, რუსეთმა მოახერხა ის, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მას სამხედრო ბაზა არ ჰქონდა და დღეს შექმნა ეს ბაზა ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების კონტექსტში. ეს კი მოხდა სომხეთის ხარჯზე.

**„მოგეხსენებათ, სომხეთი რუსეთის ყველაზე აქტიური პარტნიორი იყო და ამ დროს რუსეთმა რა გაუკეთა სომხეთს? ის ტერიტორიები, რომელზეც სიამაყით ლაპარაკობდნენ სომხები, აზერბაიჯანს მისცა და იქ სამხედრო ბაზა შექმნა. ბუნებრივია, აზერბაიჯანი დამოკიდებული გახდა რუსეთზე, რადგან რუსეთის პოზიციაზეა დამყარებული, შეინარჩუნებს თუ არა აზერბაიჯანი ტერიტორიულ მთლიანობას. თუ სომხეთი ან აზერბაიჯანი მოითხოვს, რუსეთის ჯარები გავიდეს იქიდან, რუსეთი კონფლიქტს თავიდან წამოიწყებს და პროვოცირებას მოახდენს. ამიტომ აზერბაიჯანი იძულებულია, ურთიერთობები ჰქონდეს რუსეთთან“,** – აღნიშნა გია გაჩეჩილაძემ.

ანალიტიკოსი **იგორ კვესელავა** არ გამორიცხავს, ყარაბაღის ომი რუსეთს მოეწყო ან გაეთამაშებინა ალიევთან ერთად. ფაქტია, ამ ომით რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში დაიმკვიდრა ადგილი და კიდევ ერთი სამხედრო ბაზა შექმნა.

**„გაცილებით უარესი პროცესები მიმდინარეობს ჩვენს რეგიონში, რადგან რუსეთი, ირანი, თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი ქმნიან ერთ სარკინიგზო სისტემას. საამისო ნაბიჯებიც გადაიდგა და ფულიც გამოიყო, ასეთ ვითარებაში საქართველო თავის ცნობილ ადგილს კავკასიაში კარგავს, ანუ პრიორიტეტები რაც გაგვაჩნდა კავკასიაში, ამას ვკარგავთ. ასეთი მოცემულობა გეოპოლიტიკურ სტრატეგიულ მდგომარეობას კავკასიაში ცვლის და ეს მაღალი მდგომარეობა გადადის უკვე აზერბაიჯანსა და რუსეთზე“,** – აღნიშნა იგორ კვესელავამ.

მისივე აზრით, იმ დროს, როცა რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი არიან ერთი გუნდი (რა თქმა უნდა, იქ არის თავისი შიდა წინააღმდეგობები), „ნაცებს“ საქართველოში აწყობთ ომი. მათ ომის შეჩერება კი არ უნდათ, არამედ ომის შედეგად სარგებლის პოვნა. მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ ახლა საუბარი მიმდინარეობს რკინიგზაზე, რომელიც დაკავშირებულია სოხუმთან, რუსეთი დაინტერესებულია აფხაზეთის რკინიგზით. ჩვენ რომ ულტიმატუმი წამოგვიყენოს რუსეთმა რკინიგზასთან დაკავშირებით, რა უნდა ვუთხრათ? ან რუსეთი რომ შემოვიდეს და გორის ტრასაზე დადგეს ახლა, რა უნდა გავაკეთოთ?

**მანანა ნოზაძე**

# სად არის პუტინი?

**რუსულმა პროპაგანდისტურმა მედიამ პუტინის ყალბი ჩანაწერი გაავრცელა. ამის შესახებ უკრაინული მედია იტყობინება და ყურადღებას ერთ-ერთ კადრზე ამახვილებს, რომელიც ეჭვს აჩენს, რომ კრემლის ლიდერი შესაძლოა არა სტიუარდესებთან შეხვედრისას, არამედ სხვა ადგილას, მწვანე ფონზე იყოს ჩაწერილი.**

საუბარია მიკროფონზე, რომელიც გამჭვირვალეა და მასში პუტინის თითი არაბუნებრივად შედის. დამონტაჟებული კადრები ეჭვს აჩენს, რომ პუტინი სინამდვილეში არა კრემლში, არამედ ბუნკერში იმყოფება. ამის გამო, კრემლის ლიდერი უკრაინის პრეზიდენტმა „დატროლა“. ზელენსკიმ, მორიგი მიმართვის დასრულების შემდეგ, მიკროფონი, სპეციალურად, ხელით გასწია, რითაც დაადასტურა, რომ რეალურ დროსა და ადგილას საუბრობს.

# რუსი ტყვეების მოწოდება

უკრაინაში ტყვედჩავარდნილი რუსი სამხედროები რუსეთის მოქალაქეებს მოუწოდებენ გააკეთონ ყველაფერი ომის დასასრულებლად.

**„რუსებო, ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ ეს ომი დამთავრდეს. ის არ სჭირდება არც უკრაინას, არც რუსეთს. ეს ომი სჭირდება მხოლოდ პუტინს“,** – განაცხადა ტყვე ანდრეი ჩუვატარევსკიმ სააგენტო „ინტერფაქს-უკრაინაში“ პრესკონფერენციაზე. ის საკონტრაქტო სამსახურს მოსკოვის ოლქში გადიოდა.

მან ასევე თანამოქალაქეებს მოუწოდა, გამოვიდნენ მიტინგებზე, გადაკეტონ ფედერალური დანიშნულების მაგისტრალები და რუსეთის ტექნიკას გადაადგილების საშუალება არ მისცენ. **„შეეცადეთ, თქვენი ხმა გააგებინოთ პრეზიდენტს, მოაშორეთ სამხედროები ტექნიკას, რათა არ დაბომბონ მშვიდობიანი მოსახლეობა. თუ თქვენ ქუჩებში გამოხვალთ, პრეზიდენტი მიიღებს გადაწყვეტილებას ჯარების გამოხმობის შესახებ და ომი არ იქნება“,** – ამბობს რუსი ტყვე.

შეკითხვაზე, აცნობიერებს თუ არა რუსეთის ხელისუფლების მოტივებს უკრაინაში შეჭრასთან დაკავშირებით, ჩუვატარევსკიმ უპასუხა, რომ არა.

**„მე არ ვიცი რა მიზნებისთვის. როგორც ჩანს, მას უნდა უბრალოდ ტერიტორიები და მიწები. ჩვენ ეს არ გვინდა“,** – აღნიშნა მან და განაცხადა, რომ რუსეთის არმიაში სამსახური არავის უნდა.

**„არმიაში სამსახური არავის უნდა. წვრთნებზე წასვლის სურვილიც არ გვქონდა ცივილიზაციისაგან შორს... ჩვენ გვძულს ჩვენი ხელმძღვანელობა, რომელმაც აქ გამოგვგზავნა. ვხვდებით, რომ აქ არავის ვუნდივართ, თავი გვიკრეს აქ მთავრობის ზრახვების შესასრულებლად“,** – თქვა ტყვე სამხედრომ.

მან ასევე მიმართა დარბაზში მყოფ უცხოელ ჟურნალისტებს, გაავრცელონ აღნიშნული ინფორმაცია იმისთვის, რომ მათი ქვეყნების პრეზიდენტებმა ზეწოლა მოახდინონ პუტინზე ომის შეწყვეტის მიზნით. **„ჩვენ ამის იმედი გვაქვს“,** – თქვა ჩუვატარევსკიმ. კიდევ ერთი ტყვის, ჯარისკაც მიხაილ კულიკოვის თქმით, რუსეთის მოქალაქეებმა უნდა გამოიჩინონ ძალისხმევა, რათა უკრაინაში აღარ ზარალდებოდნენ რუსი და უკრაინელი შვილები. ამასთან, ტყვემ დმიტრი გაგარინმა რუსეთში თავის ოჯახსა და ახლობლებს მიმართა, არ მოუსმინონ რუსულ პროპაგანდას.

**„მინდა, რომ რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებმა ყველა ადამიანმა გაიგოს, აქ, უკრაინაში ყველაფერი ისე არ არის, როგორც რუსეთის ტელევიზიები ლაპარაკობენ. აქ არ არიან ბანდერელები, არ არიან ნაცისტები. აქ ჩვეულებრივი მშვიდობიანი ადამიანები არიან, რომლებიც გაერთიანდნენ ერთი ადამიანის – პუტინის წინააღმდეგ. ადამიანის, რომელსაც უნდა ყველაფრის დამპყრობელი იყოს. მინდა, რომ ეს ყველაფერი რაც შეიძლება მალე დამთავრდეს. აქ ყველაფერი ისე არ არის, როგორც ჩვენი მედიასაშუალებები ყვებიან და ხალხს აზომბებენ“,** – თქვა რუსმა ტყვემ. პრესკონფერენციაზე იმყოფებოდა ათი სამხედრო, რომლებიც ტყვედ ნებაყოფლობით ჩაბარდნენ. თითოეულმა მათგანმა აღნიშნა, რომ კარგად ექცევიან და თავიანთ ახლობლებთან დარეკვის საშუალება მისცეს.

ტყვეების ნაწილმა განაცხადა, რომ აღარ სურთ რუსეთში დაბრუნება და ახლა თავიანთი ოჯახების გამო შიშობენ. ამასთან, მათი თქმით, სამხედრო მოსამსახურეებმა სერჟანტების დონეზე, იცოდნენ, რომ მხოლოდ სამხედრო წვრთნებზე მიდიოდნენ.

# განიხილავენ უკრაინისთვის მოიერიშე თვითმფრინავების მიწოდებას

**აშშ პოლონეთთან ერთად განიხილავს უკრაინისთვის მოიერიშე თვითმფრინავების მიწოდების შესაძლებლობას. ინფორმაციას ადასტურებს თეთრი სახლის პრესსპიკერი.**

ქვეყნები სწავლობენ, თუ როგორ დაეხმარება ვაშინგტონი ვარშავას, თუ ის უკრაინისთვის სამხედრო თვითმფრინავების მიწოდებას გადაწყვეტს. სპიკერმა თქვა, რომ უკრაინაში მოიერიშე თვითმფრინავების გაგზავნა არის „სუვერენული გადაწყვეტილება, რომლის მიღებაც ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია“ და აღნიშნა, რომ ბევრი ლოჯისტიკური საკითხის დამუშავებაა საჭირო, კერძოდ, როგორ მოხდება თვითმფრინავების პოლონეთიდან უკრაინაში გადაყვანა.

ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ევროკავშირის ქვეყნები უკრაინას 70-მდე საბჭოთა წარმოების სამხედრო თვითმფრინავებს მიგ-29-ს გადასცემდნენ. ამ მიზნით, ჯერ კიდევ თებერვლის ბოლოს, უკრაინელი პილოტები პოლონეთში ჩავიდნენ, რათა მიეღოთ მოიერიშეები. მოგვიანებით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ევროკავშირის ქვეყნები თავს იკავებდნენ სამხედრო თვითმფრინავების გადაცემისგან. სამხედრო თვითმფრინავების გადაცემას რამდენიმე დღეა, ითხოვს უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი. ეს თხოვნა მან ამერიკელ სენატორებთანაც გაიმეორა. როგორც იუწყებიან, სენატორებთან საუბრისას, ზელენსკიმ მიანიშნა, რომ პოლონეთი მზადაა უკრაინისთვის თვითმფრინავების გასაგზავნად, თუმცა ამისთვის აშშ-ის თანხმობას ელის.

# რუსები ცდილობენ საქართველოში რაც შეიძლება მეტი უძრავი ქონება იყიდონ

**უკრაინასა და რუსეთში მიმდინარე ომის ფონზე, საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე საეჭვო აქტიურობა შეინიშნება. აშკარად გაიზარდა ინტერესი რუსეთიდან და ბელორუსიდან. მათი მოქალაქეები ჩვენს ქვეყანაში უძრავი ქონების შეძენას აქტიურად ცდილობენ. ეს კი ნათლად მიანიშნებს გარკვეულ საფრთხეზე.**

საქართველოს უძრავი ქონების ეროვნული ასოციაციის თავმჯდომარის **ოთარ კაჭკაჭაშვილის** აზრით, საქართველოს კერძო სექტორის სხვადასხვა სფეროებიც დადგება გამოწვევის წინაშე და მათ შორის, ვერც უძრავი ქონების სექტორი, თუ ფიზიკური პირები იქნებიან გამონაკლისი. საქმე ისაა, რომ ასოციაციის წევრ კომპანიებში გაიზარდა მომართვიანობა რუსეთის ფედერაციის და ბელორუსიის სახელმწოფოს მოქალაქეების, თუ ბიზნეს სუბიექტების მხრიდან, რომლებიც მაღალ დაინტერესებას გამოთქვამენ საქართველოში უძრავი ქონების შეძენის და გრძელვადიანი საიჯარო ხელშეეკრულებების გაფორმების თაობაზე.

**„საქართველოს უძრავი ქონების ეროვნული ასოციაცია მოუწოდებს წევრ და პარტნიორ ორგანიზაციებს, რომ მაქსიმალურად დიდი ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინონ საქმიანობისას და არ დაუშვან, რომ უნებლიედ გახდნენ ისეთი გარიგებების მონაწილეები, რაც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს ქვეყანაში მოქმედ შიდა, საერთაშორისო კანონმდებლობასა თუ სართაშორისო შეთანხმებებს. აქვე გასათვალისწინებელია ის პათოსი, რაც მსოფლიოში სუფევს! მოგიწოდებთ საეჭვო ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის მიღებისას, ვიდრე გავხდებით ამა თუ იმ გარიგების ან მოლაპარაკების პროცესის მონაწილე, იურიდიული კონსულტაცია გაიაროთ იურიდიული სერვისის გამწევ სუბიექტებთან“,** – განაცხადა ოთარ კაჭკაჭაშვილმა.

ამ მიმართულებით ვითარება მართლაც საყურადღებოა. უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, რუსული კომპანიებისა და მოქალაქეების მხრიდან საქართველოს მიმართ დაინტერესება დიდია და მოსალოდნელია, ინტერესის კიდევ უფრო გაზრდა. „რემაქს კაპიტალის“ დამფუძნებელი, **მარიამ ასათიანი** მიიჩნევს, რომ ამას სახელმწიფო მომზადებული უნდა დახვდეს.

**„დარწმუნებულნი ვართ, რომ ქვეყანა, რომელსაც ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიის 20% და რომელთანაც საომარ მდგომარეობაში ვართ, მისი მოქალაქეები არ უნდა ყიდულობდნენ ჩვენთან უძრავ ქონებას. ჩვენი კომპანიისთვის ეს ახალი არ არის. უკვე 8 წელია ბაზარზე ვართ და არც ერთი რუსეთის მოქალაქისთვის ქონება არ მიგვიყიდია, თუმცა ეს ჩვენი ნაბაყოფლობითი გადაწყვეტილება და არჩევანია. თუ ეს არ დარეგულირდება სახელმწიფო დონეზე, ცალკეული პირების სამოქალაქო პასუხისმგებლობის საგანი არ უნდა იყოს. დღეს ვხედავთ უკრაინაში მცხოვრებ დივერსანტებს, რომლებიც ეხმარებიან ომში რუსეთს.**

**როცა საქმე ეხება ეროვნულ ინტერესებს და სახელმწიფო უსაფრთხოებას, ეკონომიკური პერსპექტივების გარჩევა უბრალოდ ამორალურია. გარდა ამისა, თუ საუბარია ეროვნულ დისკრიმინაციაზე, ასე არ არის. არავინ ეთნიკურად რუსებს არ ეწინააღმდეგება. ჩვენ მიგვიყიდია მათთვის ქონება, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან“,** – განაცხადა მარიამ ასათიანმა.

იგი ადასტურებს, რომ დღეს დიდი დაინტერესებაა რუსეთის მოქალაქეებისგან გუდაურში, ბათუმსა და თბილისში და ეს წლებია გრძელდება. 2008 წლის შემდეგ რუსეთის მოქალაქეებზე ქონების გაყიდვა აკრძალული არ ყოფილა, თუმცა ასათიანის აზრით, ეს აუცილებელია.

ბექა დანელია

# მთავრობა პურზე ფასის შენარჩუნების პირობას დებს!

**უკრაინასა და რუსეთს შორის ომმა საქართველო ბევრი კუთხით ჩააგდო რთულ მდგომარეობაში და ერთ-ერთი მათ შორის ხორბლისა და ფქვილის იმპორტირების საკითხია. არ არის გამორიცხული, ამ მხრივ ვითარება ერთბაშად გაუარესდეს და ქვეყანა სასურსათო საფრხის წინაშე აღმოჩნდეს.**

იმ შემთხვევაში თუ ფქვილისა და ხორბლის მარაგის შემოტანა გაჭირდება, გაძვირება გარდაუვალი იქნება, თუმცა მთავრობის წევრებს მიაჩნიათ, რომ ამ მხრივ საფრთხე არ გვემუქრება. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, **გიორგი ხანიშვილის** განცხადებით, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას ფქვილისა და ხორბლის მიმართულებით საფრთხე არ ემუქრება. თუ რუსეთიდან ხორბლის შემოტანა შეიზღუდა, საქართველო ხორბალს ევროპაში იყიდის.

**„ყველაფერი ლოგიკურადაა. ფაო-ს სტანდარტების მიხედვით, ხორბლის გარდამავალი ნაშთი ქვეყანაში სასურველია იყოს მთლიანი მოხმარების 12%-ის ფარგლებში. ბოლო 5-6 თვეა ჩვენთან ფქვილის ხვედრითი წილი იზრდება და მიაღწია 13-14 ათას ტონას. წინა თვეში კი 16 ათასი ტონა შემოვიდა. ეს არის დაახლოებით 30 ათასი ტონა ხორბლის ეკვივალენტი. ამავე დროს, შემოდის დაახლოებით 12 ათასი ტონა ხორბალიც, ეს კი ერთად ქმნის მარაგის 12%-ს. იმის გამო, რომ წისქვილები გაჩერებული არიან და ვეღარ აწარმოებენ იმ რაოდენობის ფქვილს, რასაც აქამდე, ამის გამო ხორბალში მარაგი აბალანსებს ნაშთს. თუ ჩვენ გვექნება მოცემულობა, რომ შემცირდება ფქვილის მარაგი, ბუნებრივია, გაიზრდება ხორბლის მარაგი.**

**ახლა ეს მოცემულობაა და კარგად უნდა ავუხსნათ მოსახლეობას, რომ ამ მხრივ სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით პრობლემები არ გვაქვს და არც გვექნება. რუსული ბაზრის დაკეტვის შემთხვევაში ჩვენ ხორბალს შემოვიტანთ ევროპიდან“,** - განაცხადა ხანიშვილმა და ისაუბრა იმაზე, თუ რას გეგმავს მთავრობა რუსეთში ხორბალზე დაწესებული მცურავი საბაჟო გადასახადის დასაბალანსებლად.

**„სექტორთან საუბარია არა მხოლოდ სუბსიდირებაზე, არამედ სარკისებურ დაბეგვრაზეც, როგორც ამას წისქვილები უწოდებენ. ანუ სხვაობა იმპორტირებულ ფქვილსა და გადასამუშავებელ ხორბალს შორის, რაც მოქმედებს რუსეთში არსებული ექსპორტის გადასახადის გამო, მის დაბალანსებაზეა საუბარი – ერთი მხრივ, ხორბალზე სუბსიდირებით, მეორე მხრივ კი, ფქვილზე შესაბამისი განაწესის დამატებით, რომ დავიჭიროთ სწორი ბალანსი და არ მოხდეს პურის გაძვირება.**

**ჩვენ ეს სქემა შევთავაზეთ, მაგრამ წისქვილებმა დააყენეს საკითხი ცოტა სხვანაირად. მათი პოზიციაა, რომ მხოლოდ ფქვილზე დაწესდეს გადასახადი ორივე მდგენელიდან გამომდინარე. ვფიქრობთ, ეს არალოგიკურია, თუმცა ველოდებით ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდანაც პოზიციებს“,** – განაცხადა „ბიზნესპრესნიუსთან“ ხანიშვილმა.

წისქვილკომბინატების წარმომადგენლები კი ამ საკითხს სხვაგვარად უყურებენ. მათი აზრით, საქართველოში ხორბლის იმპორტი თუ სრულად ფქვილის იმპორტით ჩანაცვლდა, ცუდ შედეგებამდე მივალთ. ხორბლის ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორი კომპანია „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ (ყოფილი „აგრიკომი“) დირექტორის **ქეთი კუბლაშვილის** ინფორმაციით, უკვე დაიხურა ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი წისკვილკომბინატი, მას მოჰყვება სხვა დანარჩენიც.

**„ხორბალი არის სასურსათო უსაფრთხოების პროდუქტი, მას შენახვის დიდი ვადა აქვს, 1-2 წელიც კი. ფქვილის შენახვა შეუძლებელია, ფუჭდება და არც ერთი ქვეყანა, სასურსათო უსაფრთხოების მიზნით მარაგს ფქვილში არ აკეთებს“,** – განაცხადა კუბლაშვილმა.

მისივე განმარტებით, დარგი სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კონსულტაციებს აწარმოებს. უწყებას ესმის რა მძიმე ვითარებაშია დარგი და ალბათ გაითვალისწინებს ბიზნესის ინტერესებს. დაახლოებით ბოლო წელიწად-ნახევარია საქართველოში ფქვილის იმპორტის ზრდის გამო წისქვილკომბინატების ნაწილს პრობლემები ექმნება და იხურება. მიზეზი არაკონკურენტული გარემოა, რომელიც ძირითადი იმპორტიორის რუსეთის მიერ ხორბალზე შემოღებულმა ე.წ. მცურავმა ბაჟმა შექმნა.

ეკა ბაქრაძე

# ქართული პროდუქციის ექსპორტი იზრდება

**სურსათის ეროვნული სააგენტო პროდუქციის ექსპორტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ქართული აგრარული პროდუქციის მსოფლიო ბაზრებზე ექსპორტის გაზრდის უზრუნველსაყოფად, აქტიური მუშაობა მრავალი წელია, მიმდინარეობს.**

სააგენტოში აცხადებენ, რომ ამ პროცესში ჩართულია როგორც შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები, ისე ცნობილი საერთაშორისო მარკეტინგული კომპანიები.

**„მუშაობა მიმდინარეობს ქართული ცხოველური წარმოშობის პროდუქციის ექსპორტის ზრდის მიმართულებითაც. სურსათის ეროვნული სააგენტო მოლაპარაკებებს აწარმოებს არაერთ ქვეყანასთან, მათ შორის, ერთი კვირის წინ წარმატებით დასრულდა მოლაპარაკებები საუდის არაბეთთან. 2020 წლიდან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა რუსეთის ფედერაციის მხარესთანაც, რომლის საფუძველზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ქართული ცხოველური წარმოშობის პროდუქციის ექსპორტის დაშვებასთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციასა და სხვა ქვეყნებში.**

**ამავდროულად, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა სტანდარტებისა და რეგულაციების დანერგვასთან დაკავშირებით, რათა ქართული ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტი შესაძლებელი გახდეს ევროკავშირის ქვეყნებში.**

**ცხოველური წარმოშობის პროდუქციისთვის ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გატარებული პოლიტიკისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ევროკავშირის ბაზარზე 2016 წლის დეკემბრიდან დაშვებულია ქართული თაფლის ექსპორტი და შედეგად, გასულ წელს ევროპაში უპრეცედენტო რაოდენობის თაფლია გასული“,** – აღნიშნულია სურსათის ეროვნული სააგენტოს განცხადებაში.

# ამ ეტაპზე ხორბლის მარაგისა და მოწოდების პრობლემა არ გვაქვს

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია წისქვილკომბინატების წარმომადგენლებს შეხვდა. სამინისტროში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ქვეყანაში ხორბლის მარაგების პრობლემები არ არსებობს, ასევე, შეფერხება არ არის და სტაბილურად შემოდის ფქვილი. მინისტრის განცხადებით, მიუხედავად აღნიშნულისა, ხორბლისა და ფქვილის იმპორტის მიმართულებით ბაზრების დივერსიფიკაცია მნიშვნელოვანი საკითხია, რაზეც წისქვილკომბინატები მუდმივად მუშაობენ.**

ხორბლისა და ფქვილის ასოციაციის თავმჯდომარის, ლევან სილაგავას განცხადებით, ხორბლის მარაგებსა და ექსპორტს ამ ეტაპზე პრობლემები არა აქვს, თუმცა, არსებული ვითარების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, წისქვილკომბინატებს ალტერნატიული ბაზრებიდან იმპორტის შესაძლებლობა ექნებათ.

# რუსული ნავთობი – კაპიკებში...

**ევროპის უმსხვილესმა ნავთობკომპანია „შელმა“ რუსეთისგან ნედლი ნავთობის პარტია რეკორდული ფასდაკლებით შეიძინა,** – ინფორმაცია ამის შესახებ სააგენტო „ბლუმბერგი“ ავრცელებს. მანამდე, უკრაინაში რუსეთის ინტერვენციის შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ ნავთობკომპანია რუსეთისგან ნავთობისა და გაზის შესყიდვას გააგრძელებს.

**„ბლუმბერგის“ ცნობით, „შელმა“ ნავთობი მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო კომპანია თრაფიგურა-სგან შეიძინა და ერთ ბარელში გასაყიდ საბაზრო ფასზე 28,50 დოლარით ნაკლები გადაიხადა. სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ „შელი“ რუსეთისგან შესყიდვებს განაგრძობს თავისი კლიენტებისთვის მიწოდებების უზრუნველსაყოფად და რომ შეამცირებს შესყიდვებს, ალტერნატივის გაჩენასთან ერთად.**

როგორც „ბლუმბერგი“ აღნიშნავს, **მთავრობებს რუსული ნავთობისა და გაზის შესყიდვა ამ დროისთვის არ აუკრძალავთ, რადგან ამგვარმა ნაბიჯმა შეესაძლოა, ფასის მკვეთრი ზრდა გამოიწვიოს. ნავთობკომპანია „შელის“ მიერ რუსული ნავთობის შეძენა შეესაძლოა, ბაზრის სხვა მოთამაშეებისთვის სიმბოლურ ნაბიჯად იქნას აღქმული,** – წერს „ბლუმბერგი“.

◎ ოვალური გურთი

# აგრესიით მოკვეთილნი

**როგორც მოგეხსენებათ, უკრაინაში შეჭრა სრულიად რუსულ საზოგადოებას საკმაოდ ძვირი უჯდება და გამონაკლისს არც სპორტი, კონკრეტულად კი რაგბი წარმოადგენს. დიახ, „დათვები“ ყველა საერთაშორისო ტურნირიდან მოკვეთეს, ხოლო იქაურ ფედერაციას მსოფლიო რაგბიმ წევრობა შეუჩერა.**

ბუნებრივია, სანქციები სარკისებურად აისახა ნაკრებსა და მის სამხრეთაფრიკელ მწვრთნელებზე, რომლებიც უმუშევარნი დარჩნენ, არადა, თურქული შეკრების შემდეგ რაგბი ევროპის ეგიდით პრინციპული ბრძოლის გასამართავად თბილისში ველოდით.

ვფიქრობთ, ჩრდილოელთა თავკაცის **დიკ მუირის** მონოლოგში „ბორჯღალოსანთა“ ქომაგები ბევრ საინტერესოს ამოიკითხავენ. **„იმედი გვქონდა, რომ თამაშის უფლებას მოგვცემდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. ბიჭებს გული ძალიან დაწყდათ — მათ ხომ მთელი ძალისხმევა შეალიეს ახალ სათამაშო სტილზე გადასვლას. მათ ყველაფერი კარგად აითვისეს და გუნდში გაჩნდა ალალი რწმენა, რომ ბოლო 29 წელიწადში პირველად შევძლებდით საქართველოს დამარცხებას.**

ბევრს არ ესმის, რა არის ომი — ეს ხომ პოლიტიკაა, მაგრამ უბრალო ხალხი ამას ვერ იაზრებს. უკრაინასა და რუსეთში ხალხს ერთმანეთში ბევრი ნათესავი ჰყავს. სანამ ომი დაიწყებოდა, თურქულ შეკრებაზე უკრაინელებთან ერთად ვვარჯიშობდით და მორაგბეთა შორის ისეთი ურთიერთგაგება სუფევდა, რომ ერთადაც კი ვსადილობდით. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი დამთავრდა.

საქართველო ჩვენი მთავარი მეტოქეა. სპეციალურად ვემზადებოდით, რომ თბილისში 50 ათასი ქართველი გულშემატკივრის წინაშე „ბორჯღალოსნები“ დაგვემარცხებინა. რუსული რაგბისთვის ეს უბრალოდ ფანტასტიკური მოვლენა იქნებოდა.

ბოლო თვეებში ბევრი რამ შევცვალეთ, უპირველესად — თამაშის ტემპი, რადგან რუსეთის ჩემპიონატში მორაგბეები ძალიან ნელი ტემპით თამაშობენ. ვაკვირდებოდი, რომელი მორაგბეები შეძლებდნენ ჩემი დავალებების სწრაფად შესრულებას. ბიჭებს დიდი პოტენციალი აქვთ და ძალიან გვანან აფრიკელებს — ფიზიკურად ძლიერები არიან და არ ერიდებიან კონტაქტს. ისინი ძალიან მონდომებულები იყვნენ“...

◎ ფარეშვეშ

# ვაკანტური მეექვსე...

**წლევანდელი ევრობასკეტის თბილისში დანიშნული ჯგუფური რაუნდი 1 სექტემბერს რუსეთისა და თურქეთის პრინციპული შეხვედრით უნდა გახსნილიყო, მაგრამ ფიბამ ამ დღეებში, სპორტის სხვა სახეობათა საერთაშორისო ფედერაციებისა თუ ასოციაციების მსგავსად, ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა, რის საფუძველზეც რუსულ გუნდებსა და ოფიციალურ პირებს ეკრძალებათ მის მიერ ორგანზებულ ნებისმიერ ტურნირში მონაწილეობა.**

„ფიბა შეშფოთებულია უკრაინაში განვითარებული ბოლო მოვლენებით და ღრმა თანაგრძნობას გამოთქვამს დაზარალებულთა მიმართ.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოს რეზოლუციისა და მისი მიზეზების შესაბამისად ფიბა აცხადებს, რომ რუსეთის გუნდებსა და ოფიციალურ პირებს უფლება აღარ ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ფიბას მიერ ორგანიზებულ საკალათბურთო და 3X3 კალათბურთის შეჯიბრებებში შემდგომ გაფრთხილებამდე.

ყოველ მომდვნო გადაწყვეტილებას, რომლებიც მიღებული იქნება ფიბას 25 მარტის ცენტრალური საბჭოს სხდომაზე, ასევე ფიბას ევროპის ზონის ორგანოების მიერ უახლოესი დღეების განმავლობაში, ფიბა დაუყოვნებლივ გაგაცნობთ.

ფიბა მკაცრად გმობს ძალადობას და იმედოვნებს, რომ უკრაინაში მშვიდობა მალე დაისადგურებს“.

დავძენთ, რომ ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ ჩაანაცვლებს რუსეთს თბილისურ ჯგუფში.

სხვათა შორის, ჩრდილოელ მეზობლებს მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ეტაპზეც უნდა შეეხვედროდით, რომელიც აგვისტოში იწყება, მაგრამ, სავარაუდოდ, მომავალ ექვსგუნდიან ტურნირში მათი ჯგუფიდან ნიდერლანდებთან, ისლანდიასთან და იტალიასთან მოგვიწევს ბრძოლა.

◎ ტატამზე

# თბილისის გრანდ სლემი გადაიდო

**ძიუდოში თბილისის გრანდ სლემი გადაიდო. ამის შესახებ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ვებ-გვერდი იტყობინება.**

შეჯიბრების გადადების მიზეზი უკრაინაში მიმდინარე მოვლენები გახდა, რის შედეგადაც IJF-მა და თბილისის გრანდ სლემის ორგანიზატორებმა ერთობლივად გადაწყვიტეს ტურნირის გადადება.

თბილისის გრანდ სლემი 25-27 მარტს იყო დაგეგმილი, მაგრამ გადაწყდა, რომ 3-5 ივნისს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ თბილისის გრანდ სლემი პირველად 2021 წელს ჩატარდა, ხოლო მანამდე ის თბილისის გრან პრის სახელს ატარებდა.

◎ ლეგიონერი

# სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთ!..

**გულშემატკივარს კარგად ახსოვს დავით სირაძისა და ლევან მჭედლიძის ეპიზოდი, როცა ფორსმაჟორულ ვითარებაში სწრაფი მოქმედებით პარტნიორის სიცოცხლე გადარჩა.**

გასულ კვირაში მსგავსი ფაქტი ავსტრიის ბუნდესლიგაშიც მოხდა და მისი გმირიც საქართველოს ნაკრების მცველი **ლუკა ლოჩოშვილი** გახდა.

აი, რას ვკითხულობთ ევროპულ პრესაში: **„ვოლფსბერგერის“ წამყვანმა უკანახაზელმა სასწრაფო დახმარება აღმოუჩინა „აუსტრიას“ მოთამაშე გეორგ ტაიგლს, რომელსაც სახეში შემთხვევით მოხვდა მეტოქის მუხლი, გონება დაკარგა და ენას ყლაპავდა. საბოლოოდ ეს უკანასკნელი გამოჯანმრთელდა, მოედნიდან გავიდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს, ლოჩოშვილს კი ორივე გუნდის ფეხბურთელები შემოეხვივნენ და სიცოცხლის გადარჩენისთვის მადლობა გადაუხადეს.**

ამის შემდეგ ქართველმა ლეგიონერმა სოლიდარობა უკრაინისადმიც გამოხატა — მას მაისურზე ეწერა „დადექი უკრაინასთან, იყავი მტკიცე“.

რაც შეეხება თვით ლუკას, იგი ამბობს: **„მნიშვნელოვანია, რომ „აუსტრიას“ მოთამაშე თავს კარგად გრძნობს და მას სწრაფ გამოჯანმრთელებას ვუსურვებ. უკრაინასთან დაკავშირებით კი მოგახსენებთ, რომ იქ ბევრი მეგობარი მყავს და ცხოვრების რთულ პერიოდში მათ მხარდაჭერას ვუცხადებ. ყველა ადამიანის სიცოცხლე ძვირფასია და ომი უნდა შეწყდეს“.**

◎ დოჰიოზე

# სტაბილურად - ელიტაში

**95 ბაშოზე მიღებული მონაწილეობა, პროფესიულ დოჰიოზე მოგებული 637 ორთაბრძოლა და 2018 წლის იანვარში ნებისმიერი სუმოისტისათვის მოპოვებული კარიერის გვირგვინი — იმპერატორის თასი, რაც მნიშვნელობით, მაგალითად, ნბა-ს ჩემპიონობას უტოლდება — ასეთი გახლავთ 34 წლის ქართველი რიკიშის ლევან გორგაძის სადარბაზო ბარათი.**

მართალია, ტრავმებით გაწამებულმა ტოჩინოშინმა უკანასკნელი შვიდი ბაშო უარყოფითი ბალანსით დაასრულა, მაგრამ სუმოს ასოციაცია, ეტყობა, ღირსეულად აფასებს ჩვენი თანამემამულის შეტანილ სოლიდურ წვლილს იაპონური ფენომენის განვითარებაში, რასაც ამ დღეებში გამოქვეყნებული თებერვლის რეიტინგ-ლისტი (ბანძუკე) მოწმობს.

დიახ, 13-27 მარტს „ედიონ არენაზე“ გასამართავ ოსაკის ბაშოზე „ტოჩი“ ისევ დასავლეთის მე-15 მაეგაშირას წოდებით იასპარეზებს, არადა ბევრს ეგონა, რომ მას დააქვეითებდნენ...

◎ ყინულს მიღმა

# ლეგენდას დაეჯერება



**როგორც იცით, მსოფლიოს 2022 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატი სეზონის სტარტზე კორონავირუსის პანდემიის გამო შეწყდა, ხოლო განახლების შემდეგ მის მთავარ ფავორიტთაგან ერთ-ერთად რუსეთის ნაკრები მოიაზრებოდა, მაგრამ...**

ამ დღეებში ჰოკეის პელედ მიჩნეულმა **უეინ გრეტკიმ** საერთაშორისო ფედერაციის მესვეურებს ღიად მოუწოდა უკრაინაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო რუსეთის გუნდს მომავალ ფორუმში მონაწილეობა აეკრძალოს:

„ეს უაზრო ომია. დილით კიევში მცხოვრებ ახლობლებს ვესაუბრე. მათ ქალაქიდან გაიყვანეს საკუთარი ოჯახის წევრები, დაბრუნდნენ და ხელში იარაღი აიღეს სამშობლოს დასაცავად. უკრაინაში ყველას საუკეთესოს ვუსურვებთ და ვლოცულობთ მათთვის.

თუ ჩვენ გვსურს, რომ რუსი ჰოკეისტები შინ გავუშვათ, ეს მხოლოდ მათ არ უნდა შეეხოთ, რადგან კანადაში სხვა პროფესიის ადამიანებიც მუშაობენ. ძალიან მიხარია, რომ პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა უარი განაცხადა მათთან თამაშზე. ვფიქრობ, საერთაშორისო ჰოკეიმ მათ არ უნდა მისცეს მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში გამოსვლის საშუალება. ვინაიდან შეხვედრები ედმონტონში გაიმართება, ჩვენ — კანადელებმა ასეთი პოზიცია უნდა დავიკავოთ“.

შეგახსენებთ, რომ ყინულის ლეგენდამ მთელი ეპოქა სწორედ „ედმონტონ ოილერზში“ შექმნა.

◎ სირცხვილია!

# ცეცხლზე ნავთი

**ყატარის ქალაქ დოჰაში სპორტულ ტანვარჯიშში მსოფლიოს თასის ეტაპი გაიმართა. ერთ-ერთ დისციპლინაში დაჯილდოების ცერემონიისას, რუსმა ტანმოვარჯიშემ ივან კულიაკმა ყველა აღაშფოთა მას შემდეგ, რაც მაისურზე ასო „Z“ დააწება — იმ ადგილას, სადაც რუსული დროშა უნდა ყოფილიყო. სწორედ ეს სიმბოლოა გამოსახული ტანკებსა და სამხედრო ტექნიკაზე, რომელიც დღეს უკრაინას უტევს.**

20 წლის რუსი ტანმოვარჯიშის ჟესტი ორმაგად პროვოკაციული იყო იმის გამო, რომ მის გვერდით პოდიუმზე უკრაინელი ილია კოვტუნი იდგა. მან ოქროს მედალი აიღო პარალელურ ორძელზე ასპარეზობაში, კულიაკი კი მესამეზე გავიდა.

ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციამ აუკრძალა რუს და ბელარუს სპორტსმენებს დროშისა და ჰიმნის გამოყენება, მაგრამ დაუშვა ისინი საერთაშორისო ტურნირებზე. ბოლო დღეებში პუტინის მომხრე პოლიტიკოსები, აქტივისტები და გავლენიანი პირები ხშირად ჩნდებიან გულსაბნევებით, რომელზეც „Z“ წერია. ისინი ამით ომის მიმართ საკუთარ მხარდაჭერას გამოთქვამენ. ნივთებს „Z“ ასოთი კი ყიდის კრემლის დაფინანსებული ტელეარხი RUSSIA TODAY



# დაუვიწყარი გუჯა ბურდული

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მსახიობი ელგუჯა (გუჯა) ბურდული.

ელგუჯა ბურდული დაიბადა თბილისში 1941 წლის პირველ აპრილს. ფილმებში გადაღება 1974 წლიდან დაიწყო, 1984 წლიდან კი გახდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი. ელგუჯა ბურდულმა არაერთი დასამახსოვრებელი სახე შექმნა ქართულ კინოში. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო თემურ ბაბლუანის ფილმში „უძინართა მზე“, რომელშიც მთავარი როლი შეასრულა. ასევე მონაწილეობდა ფილმებში: „ბელურების გადაფრენა“, „მოცურავე“, „ადამიანთა სევდა“,„შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“, „რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“, „ზაფხული, ანუ 27 დაკარგული კოცნა“ და სხვ.

2021 წელს ელგუჯა ბურდულს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს.

---

## ღირსების, ვაჟკაცობის, თავმდაბლობის განსახიერება

მწუხარებას გამოვთქვამ ქართველი მსახიობის გუჯა ბურდულის გარდაცვალების გამო. მან ღირსება, ვაჟკაცობა და თავმდაბლობა თავის გმირებში განასახიერა და ისეთი დაუვიწყარი სახეები შექმნა, რომლებმაც მაყურებლის სიყვარული დაიმსახურეს. ვუსამძიმრებ გუჯა ბურდულის ოჯახს, ახლობლებსა და ქართველ მაყურებელს ასეთი დიდი დანაკარგის გამო.

ირაკლი ღარიბაშვილი,
საქართველოს პრემიერ-მინისტრი

---

საქართველოს საგვარეულოთა კავშირი „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობა იუწყება ბურდულების გვარის წინამძღოლის, არაგველთა ხევისბერის ბატონ

## ელგუჯა (გუჯა) ბურდულის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

ვაჟა ნადირაშვილი, თენგიზ მაისურაძე, მამია ჭუმბურიძე, მერაბ ლეკვეიშვილი, ნინო სულამანიძე.

---

გივი ნაცვლიშვილი, თემურ მოდებაძე ოჯახებით იუწყებიან ბავშვობის მეგობრის, ღირსეული მამულიშვილის

## გუჯა ბურდულის

გარდაცვალებას.

## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

---

რევაზ, ირაკლი, რეზი და გიორგი ჩაგელიშვილები, თამუნა წივწივაძე დიდ მწუხარებას გამოთქვამენ უსაყვარლესი პიროვნების, გამორჩეული მეცნიერის, პროფესორ

## ბეჭან თუთბერიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის გიორგი ქვარცხავას მამა,

## რევაზ ქვარცხავა

რევაზ შალვას ძე ქვარცხავა დაიბადა 1943 წელს ქ. ოჩამჩირეში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1965 წელს. მუშაობდა პარტიის უფროსის თანამდებობაზე გეოლოგიის სამმართველოში. ბატონ რევაზს დაძიებული აქვს რამდენიმე საბადო, მათ შორის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გუმ,რინის საბადო. იყო საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს საშენ მასალათა ძიების ექსპედიციის წამყვანი გეოლოგი.

ბატონი რევაზი გახლდათ ძალზედ თავმდაბალი, ახალგაზრდებზე მზრუნველი, ყველასთვის კეთილმოსურნე და შემწე ადამიანი. მისი სახელი დიდხანს იცოცხლებს მეგობრებისა და ახლობლების გულში.

უფალმა დაამკვიდროს ბატონი რევაზის უკვდავი სული, სადაც მართალნი განისვენებენ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

---

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

---

## გამოსათხოვარი

გარდაიცვალა საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვან ბერიძეთა გვარის საგვარეულო დარბაზის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მედიცინის ღვაწლმოსილი მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი – ქალბატონი

## გუგული იოსების ასული ბერიძე

დიდია ქალბატონ გუგულის ღვაწლი ოჯახის, გვარისა და სამშობლოს წინაშე. მან ღირსეულად მოიხადა ამქვეყნიური მამულიშვილური ვალი ერისა და ბერის წინაშე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული და სამარადისო დიდება მის ღვაწლს.

**აკაკი** და **ვლემალი ბერიძეები** – ბათუმიდან, **ავთანდილ ბერიძე** – ნიუ იორკიდან, **ბეჭან, ვახტანგ** და **დავით ბერიძეები** – ასპინძიდან, **მერაბ** და **ზვიად ბერიძეები** – ახალციხიდან, **ბეგი ბერიძე** – თელავიდან, **იური ბერიძე** – დანიიდან, **რეზო ვლაბნიძე** – მწვანე კონცხიდან, **ირაკლი** და **ნიკა ბლიაძეები** – ბორჯომიდან, **ორჰან ბერიძე** – სტამბოლიდან, **ამირან** და **ეთერი ბერიძეები** – აჭარიდან, **ტრისტან ბერიძე** – ბოლნისიდან, **ვანო პაპუნიძე** – ბათუმიდან, **გიზო** და **ვლემალ კუხალაშვილები** – თბილისიდან, **მაყვალა** და **ლეილა ბერიძეები** – ახალციხიდან, **თემური ლორთიქიფანიძე** – ქუთაისიდან, **ნინო, გოგი** და **ნოდარი ბერიძეები** – თბილისიდან, **კიმი ბერიძე** – ბაკურიანიდან, **დათო ჩადუნელი, ლია ლუკავა, ბორის** და **ნაზი მძედლიშვილები** – ბორჯომიდან, **ნუგზარ ბეძაური** – ახალციხიდან, ნოდარ და **ზვიად ბერიძეები** – რუსთავიდან.

---

## ნიკოლოზ (ნიკა) წოწონავას გახსენება

2021 წლის 19 დეკემბერს წმინდა ნიკოლოზის დღეს შეგისრულდა 50 წელი. როგორ ვიფიქრებდით, რომ ეს იქნებოდა შენი ამქვეყნიური ბოლო დაბადების დღე და პატარა საბა დარჩებოდა საყვარელი მამის გარეშე? ხოლო მეუღლე, თამუნა გახდებოდა ახალგაზრდა ქვრივი, ან როგორ წარმოვიდგენდით თურა განსაცდელში აღმოჩნდებოდა შენი დედიკოს ლონდას სული ზეციურ ნათელში.

ყველაზე მტკივნეული აღმოჩნდა შენთვის აფხაზეთის ტრაგედიის აღქმა, ომში მიღებული განცდა, თანამებრძოლების დაღუპვა, დევნილობაში პირველი დღიდან მშობლიურ აფხაზეთში დატრიალებული მკვლელობები, რომელიც თავს დაატყდა იქ დარჩენილ ღვაწლმოსილ პედაგოგებს, შენს დავით ბაბუას და ცუცა ბებიას, რომლებიც საშინლად აწამეს და მერე ცოცხლად დაწვეს. ამ უბედურებას ოჯახის წევრები და მეგობრები ერთმანეთს ვუმალავდით. შენ კი სუსხიან ზამთარში ბეთანიის მონასტერში არჩიე ამის გადატანა რამდენიმე თვე. ყველა ეს უბედურება ყოველთვის გულთან ახლოს მიგქონდა მარტოს. მუდამ სამართლიანობისთვის იბრძოდი, როგორც იურისტმა და პიროვნებამ, კატეგორიული უარი განაცხადე სახელმწიფო ჯილდოზეც რადგანაც წაგებული ომის გმირები ვერ წარმოგედგინა. დიახ! შენთვის ყველაზე მაღალი ჯილდო ღირსება იყო.

ყველას ვისაც უჭირდა თუ ულხინდა უნდოდა შენთან ახლოს ყოფნა. ყოველთვის მზად იყავი, რომ გაგეწია დახმარება შეუძლებელიც რომ ყოფილიყო. მიუხედავად შექმნილი მწვავე სხვადასხვა ყოფითი პრობლემებისა შენი გამოჩენა იუმორითა და მოფერებით ქმნიდა სასიამოვნო გარემოს. ამიტომ ნატრობდა შენს გამოჩენას ყველა ვინც გიცნობდა. ულევი იყო სითბო, რომელსაც აიაზმასავით ყველას უწილადებდი. ძალიან ძნელია უშენოდ ცხოვრება, თითქოს სამყარო დაცარიელდა. ერთიდაიგივე განცდაა მუდმივად. ჩვენ ერთნაირად გვტკივა უშენობა ყველაზე თბილო, ყველაზე ტკბილო, ყველაზე მწარე და ყველაზე გემრიელო. მძიმედ განიცდის და წუხს შენს უდროოდ გადასვლას სამუდამო სასუფეველში ასევე ქობულეთელი, მეგობრები და ნათესავები, შენი, ნ წლის წინ მოულოდნელად ჩვენგან წასული დედიკო ლონდა.

მშვიდად იძინე ჩვენო საყვარელო ვაჟკაცო, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა. გვიყვარხარ და გვენატრები მუდამ.

შენი საყვარელი ოჯახი და მეგობრები.

# სანიტარიული ჭრა ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე

**კულტურის სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით, გიორგი ჩიტაიას სახელობის ქართული ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის მთელ ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობიც 49 ჰექტარს მოიცავს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პირველად, მიმდინარეობს ზეხმელი და ხმობადი მცენარეების სანიტარიული ჭრისა და დასუფთავების სამუშაოები.**

ინფორმაციას ამის შესახებ კულტურის სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, მსგავსი მასშტაბური სამუშაოები, რომელიც მუზეუმის სრულ ტერიტორიაზე ტარდება, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ არასოდეს ჩატარებულა. ვითარება არც მას შემდეგ შეცვლილა, რაც 2004 წელს ეთნოგრაფიული მუზეუმი ეროვნულ მუზეუმს შეუერთდა, რამაც გამოიწვია მწვანე ლანდშაფტის დაზიანება, ტერიტორია დაიფარა დაზიანებული ხე-მცენარეებითა და ეკალ-ბარდებით.

**„ამასთან, სანიტარიული ჭრისა და დასუფთავებისთვის საჭირო ხელსაწყოები და ინვენტარი ეთნოგრაფიულ მუზეუმს აღარც კი გააჩნდა და ისინი კულტურის სამინისტრომ წელს შეიძინა. სანიტარიული ჭრისა და დასუფთავების სამუშაოები 1 მარტს დაიწყო და რამდენიმე თვე გაგრძელდება. ამ პერიოდში მოხდება მწვანე საფარის მოწესრიგება, მერქნიანი მცენარეების გასუფთავება ხმელი ტოტებისგან, ფეხით სავალი ბილიკების მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა და მოწესრიგება. პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით, ეთნოგრაფიული მუზეუმი თანამშრომლობს დეკორატიული მცენარეების სანერგესთან „გარდენია შევარდნაძე“, რომლის უშუალო ზედამხედველობითა და კოორდინაციითაც ხორციელდება ზემოხსენებული სამუშაოები. კულტურის სამინისტროს მიზანს წარმოადგენს ეთნოგრაფიული მუზეუმის კვლავ სამუზეუმო-სამეცნიერო კერად გადაქცევა და მისთვის „მწვანე მუზეუმის“ სტატუსის მინიჭებაც, რათა მან შეითავსოს როგორც საგანმანათლებლო, ასევე დასასვენებელი სივრცის ფუნქცია“,** — ნათქვამია უწყების ინფორმაციაში.


## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველთა საყურადღებოდ!

**ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს შევახსენებთ, რომ გაზეთს აქვს განახლებული ვებ-გვერდი www.sakresp.ge**

**თქვენ საშუალება გეძლევათ, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილში გაეცნოთ გაზეთის ახალ ნომრებს, გამოიწეროთ იგი ელექტრონულად, განათავსოთ თქვენთვის სასურველი რეკლამა და სარეკლამო ბანერი.**

**გაზეთის სარეკლამო სივრცე გელით ყველას!**

**იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“, გაიძლიერეთ სიცოცხლის რწმენა და იმედი!**

103 წლის ყველაზე ქართული გაზეთი თქვენ გვერდითაა!

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**
**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

# პუტინს იუპიტერზე აგზავნიან

რამდენიმე დღეა, ინტერნეტსივრცეში გამოჩნდა ვებგვერდი Penkth.ujd.ef, რომელიც, როგორც გვერდზე ვკითხულობთ, დონაციისთვისაა შექმნილი. დონაციის „მიზანი“ კი რუსეთის პრეზიდენტის „იუპიტერზე გაგზავნაა“.

**„გაიღეთ შემოწირულობა და დაგვეხმარეთ, ავაშენოთ რაკეტა, რომელიც სისხლიან დიქტატორს შორს წაიყვანს. რატომ იუპიტერი? რადგან ის გაზის გიგანტების ტიპის პლანეტაა და ყველაზე დიდია მზის სისტემაში“,** — აღნიშნულია ვებგვერდზე.

როგორც ინტერნეტმასალებიდან ირკვევა, ვებგვერდი უკრაინის ციფრული ტრანსფორმაციის სამინისტრომ შექმნა. პროექტის შესახებ სოციალურ ქსელში დაწერა ამ უწყების ხელმძღვანელმა, ციფრული ტრანსფორმაციის მინისტრმა მიხაილ ფედოროვმა და მსურველებს დონაციისკენ მოუწოდა. ხუმრობით შეფუთული პროექტის რეალური მიზანი კი, სერიოზულია: როგორც მინისტრი მიუთითებს, და როგორს ვებგვერდზეა აღნიშნული, თანხა უკრაინის ჯარისა და განადგურებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად გროვდება.

# „ვიზა“ და „მასტერქარდი“ რუსულ ბაზრიდან გადიან

**დასავლეთი რუსეთზე ზეწოლას აძლიერებს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ კორპორაციები — „ვიზა“ და „მასტერქარდი“ რუს კლიენტებს ყველა ტრანზაქციას უჩერებენ. „საგადასახადო გიგანტები, რუსეთის უკრაინაში შეჭრის გამო, პროტესტის ნიშნად, რუსეთში ოპერაციებს აჩერებენ“,** — წერს BBC. მომსახურება რუსეთის მოქალაქეებისთვის არც ქვეყნის ტერიტორიაზე და არც მის ფარგლებს გარეთ აღარ განხორციელდება.

# ცნობილი ბრენდები რუსეთის ბაზარს ტოვებენ

**რუსეთში, მათ შორის სანკტ-პეტერბურგში, Zara-ს 86 მაღაზია დაიხურა. ტანსაცმლის საცალო ვაჭრობის კომპანია Inditex-მა დახურა კიდევ რვა ბრენდის 502 მაღაზია, მათ შორისაა Bershka, Stradivariu-ი და Oysho,** — ამის შესახებ BBC წერს.

რაც შეეხება Pf.gfk-ს: გადახდის სისტემების გიგანტმა თავისი სერვისების დახურვის მიზეზად „უკრაინაში ძალადობრივი სამხედრო აგრესია“ დაასახელა.

Samsung-ი კი, რომელიც რუსეთში სმარტფონების მთავარი მიმწოდებელია, ბაზრიდან გასვლას „გეოპოლიტიკური მოვლენებით“ ხსნის. იქამდე, რუსეთში ოპერირება შეწყვიტეს ისეთმა ცნობილმა კომპანიებმა, როგორებიცაა: Apple-ი, Ikea, H&M-ი, Boohoo, Rolls Royce-ი, Burberry, Jaguar Land Rover (JLR), General Motors-ი, Aston Martin-ი, Netflix-ი და მრავალი სხვა.

# იტალიამ რუსი პროპაგანდისტისა და ოლიგარქის ვილები დააყადაღეს

**იტალიამ რუსი პროპაგანდისტი ჟურნალისტის ვლადიმირ სოლოვიოვისა და მილიარდერი ოლიგარქის ალიშერ უსმანოვის ვილები დაყადაღეს. იუწყება გამოცემა La Repubblica.**

სოლოვიოვიოს ორი ვილა, რომელთა ღირებულებაც 8 მლნ ევროს შეადგენს კომოს ტბაზე, იტალიის სამართალდამცავმა ორგანოებმა დაიკავეს. ოპერაცია ფინანსური გვარდიის სპეციალური ქვედანაყოფის სამხედროებმა ჩაატარეს. აღნიშნული ოპერაციები ჩატარდა სანქციების აღსასრულებლად, რომელიც ევროკავშირმა უკრაინაში რუსეთის შეჭრის გამო რუს ოლიგარქებს დაუწესა.

ოლიგარქის ალიშერ უსმანოვის ვილები სამხედროებმა დაატიმრეს კუნძულ სარდინიაზე, არზაჩენეში. ვილების ღირებულება 16 მლნ ევროს შეადგენს. USM Holdings-ის დამფუძნებელი, მილიარდერი უსმანოვი პუტინის ერთ-ერთი ახლო მოკავშირეა. აგრესორი პუტინის ახლო გარემოცვის წევრია ტელეწამყვანი და პროპაგანდისტი სოლოვიოვიც.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 9 მარტს**


უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2744; ევრო - 3.6035;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3605;
100 რუბლი - 2.9294; თურქული ლირა - 0.2314;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9311;
1000 სომხური დრამი - 6.4134.

ამინდი 7 მარტისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -3, დღე +10
მთიანი რაიონები - ღამე -10, დღე +8
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -3, დღე +15
მთიანი რაიონები - ღამე -8, დღე +11
თბილისი: ღამე -1, დღე +8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge